საქართველოს მთავრობის

დადგენილება №206

2024 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №216 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

ტექნიკური რეგლამენტი – თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა

თავი I. შესავალი

მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები

1. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავებულ იქნა დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის თანახმადაც მენეჯმენტის გეგმა სავალდებულოა ყველა დაცული ტერიტორიისათვის.
2. მენეჯმენტის გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიებისათვის გრძელვადიანი მიზნების (20-25 წლის პერიოდისთვის) განსაზღვრა, რომლის შედეგების მიღწევაც უნდა დაისახოს შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებამ, მენეჯმენტის გეგმის ძალაში ყოფნის პერიოდში. ამ შედეგების მისაღწევად მან უნდა განახორციელოს კონკრეტული ქმედებები და განსაზღვროს ინდიკატორები მონიტორინგის განსახორციელებლად.

მუხლი 2. მოქმედების ტერიტორიული არეალი

1. მენეჯმენტის გეგმა შემუშავებულია თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის (შემდგომში – ადმინისტრაცია) მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიებისთვის, რომელიც მოიცავს: თბილისის ეროვნულ პარკს, გარდაბნის აღკვეთილს და ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლს (დანართი 1).
2. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობი შეადგენს 21 030.8 ჰექტარს. მდებარეობს მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში: მცხეთის მუნიციპალიტეტში – 12 998,3 ჰა, თიანეთისა მუნიციპალიტეტში – 4924.5 ჰა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში – 3108 ჰა.
3. გარდაბნის აღკვეთილის საერთო ფართობი შეადგენს ჯამში 3776 ჰექტარს. მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში: გარდაბნის მუნიციპალიტეტში – 2497 ჰა, მარნეულის მუნიციპალტეტში – 1012 ჰა და ქ. რუსთავის ტერიტორიაზე – 267 ჰა.
4. ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის საერთო ფართობი შეადგენს 19.6 ჰექტარს. მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთის მუნიციპალიტეტში;
5. ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებს უკავია ჯამში 24 784.11 ჰექტარი (დანართი №2).

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №521 - ვებგვერდი, 04.11.2026წ.

მუხლი 3. თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლის მარეგულირებელი, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს აღწერა

წინამდებარე მენეჯმენტის გეგმის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „თბილისის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ”, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“, „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონები, ასევე სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. შექმნის ძირითადი მიზნები

თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლის შექმნის ძირითადი მიზნებია:

1. თბილისის ეროვნული პარკის შექმნის მიზნებია:

ა) ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნება, მონიტორინგის, სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების დაცვის, ბიოლოგიური და

ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში რეკრეაციული, ეკოტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფა;
გ) კავკასიაში არც ერთი დედაქალაქის გარშემო არ არის წარმოდგენილი ასეთი ვრცელი ტყის მასივები. აქ არსებული ტყეები მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რადგან ივრის ზეგანი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე სემიარიდულ ნაწილს, იწყება თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილიდან.
2. გარდაბნის აღკვეთილის შექმნის მიზნები:
ა) გარდაბნის აღკვეთილში განსაკუთრებით საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა, ცხოველთა და ჭალის ტყის ეკოსისტემის შენარჩუნება;
ბ) საქართველოს წითელი ნუსხით დაცული კეთილშობილი ირმის ჭალის ტყის პოპულაციის დაცვა, შენარჩუნება და გამრავლების ხელშეწყობა;
გ) საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ჭალის მუხის ჰაბიტატების დაცვა-აღდგენა და შენარჩუნება;
დ) ცხოველთა სამყაროს ჰაბიტატების დაცვა და მათი რაოდენობის გაზრდა.
3. ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლის შექმნის მიზნები:
ა) ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე თვითმყოფადი ბუნებრივი კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების, არქეოლოგიური კომპლექსის ბუნების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ხელშეწყობა;
ბ) ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლის ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
გ) ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლების დაცვისა და აღდგენისათვის, განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი

თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება-განახლება განხორციელდა სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოსა (შემდგომში – სააგენტო) და გაეროს განვითარების პროგრამა – UNDP-ს შორის თანაშრომლობის ფარგლებში, პროექტი: „მდგრადი განვითარებისა და დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაძლიერება“. სამუშაო პროცესში მონაწილეობას იღებდნენ სააგენტო და ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები. მენეჯმენტის გეგმის განახლების პროცესს ფასილიტაციას უწევდა სააგენტო.

მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი შედგებოდა შემდეგი ეტაპებისგან:

N	თარიღი	აქტივობა
1	04 ნოემბერი, 2022 წ.	2022 წლის 04 ნოემბერს გაიმართა პირველი საინფორმაციო შეხვედრა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესისა და სამუშაო გეგმის გაცნობის მიზნით.
2	01 დეკემბერი, 2023 წ.	გაიმართა შეხვედრა ადმინისტრაციაში, ჩატარდა ტრენინგი ადმინისტრაციაში მენეჯმენტის გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით. ასევე განხილულ იქნა მენეჯმენტის გეგმის I თავი და განისაზღვრა დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების და სოციალურ-ეკონომიკური ძირითადი ღირებულებები, ჯგუფური სამუშაოს მეშვეობით.
3	31 იანვარი, 2023 წ.	გაიმართა სამუშაო შეხვედრა ადმინისტრაციის და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, სადაც განხილულ იქნა მენეჯმენტის გეგმის II და III თავები, დაზუსტდა და მოდიფიცირდა გამოვლენილ ღირებულებებზე მოქმედი საფრთხეები და მოხდა მათი რანჟირება. შემუშავდა გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები.

4	16 თებერვალი, 2023 წ.	გაიმართა თემატური ჯგუფების სამუშაო შეხვედრა ადმინისტრაციისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, შემუშავდა მენეჯმენტის გეგმის პროგრამების ნაწილი.
5	01 მარტი, 2023 წ.	სააგენტოს მიერ შემუშავდა მენეჯმენტის გეგმის პირველი სრული სამუშაო ვერსია, პროგრამების ჩათვლით.
6	20 მარტი, 2023 წ.	გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა მენეჯმენტის გეგმის სამუშაო ვერსია.
7	24 აპრილი, 2023 წ.	გაიმართა სამუშაო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, დოკუმენტთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული შენიშვნებისა და კომენტარების განხილვის მიზნით.
8	08 მაისი, 2023 წ.	სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა მენეჯმენტის გეგმის დოკუმენტის პროექტი და პროაქტიულად გავრცელდა საჯარო განხილვისთვის.
9	22 მაისი, 2023 წ.	გაიმართა დოკუმენტის საჯარო განხილვა

მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი

მენეჯმენტის გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან მომდევნო 9 წლის განმავლობაში, გარდა მენეჯმენტის გეგმის 42-ე-46-ე მუხლებისა და №5-№6 დანართებისა, რომლებიც ძალაშია ახალი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე.

მუხლი 7. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეცხრე წლის პირველი კვარტლისა, ადმინისტრაცია დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იქნება მიღებული.

თავი II. დაცული ტერიტორიების აღწერა

მუხლი 8. ადგილმდებარეობა და ფართობი

1. თბილისის ეროვნული პარკი მდებარეობს მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში, მცხეთის, თიანეთის და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში და მისი ფართობი დადგენილია საქართველოს კანონის „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“ შესაბამისად და შეადგენს 21 030,81 ჰა-ს. ეროვნული პარკი განფენილია საგურამოს, იალნოსა და საბადურის ქედების სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობებზე. ჩრდილოეთით ესაზღვრება თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლები (მაგრანეთი, თოხოლჩა, ღულელები, ზემო ნაქალაქარი, თრანი, ხადოელები, წყაროთუბანი, ტოლაანთსოფელი, გუდანელები და სხვა), დასავლეთით მდინარე არაგვი და თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალი, სამხრეთით – თბილისის შემოვლითი გზა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლები (ნორიო, მარტყოფი), აღმოსავლეთით მდინარე იორი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.
2. გარდაბნის აღკვეთილი მდებარეობს ქვემო ქართლში, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში, აზერბაიჯანის საზღვართან. გარდაბნის აღკვეთილის საზღვრები და ფართობი დადგენილია საქართველოს კანონით ,,დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ ფართობი შეადგენს 3 733,7 ჰა-ს.
3. ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლი მდებარეობს მცხეთა-მთიანეთში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბოდორნასთან, მისი საზღვრები და ფართობი დადგენილია საქართველოს კანონის „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ და შეადგენს 19,6 ჰა-ს.
4. დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა ეროვნულ დონეზე:
ა) თბილისის ეროვნული პარკი საქართველოში ამჟამად არსებული 14 ეროვნული პარკიდან ერთ-ერთია, ხოლო ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლი 40 ბუნების ძეგლიდან ერთ-ერთი.

ბ) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, თბილისის ეროვნული პარკის და ბოდორნის ბუნების ძეგლის გარდა, ასევე მდებარეობს შემდეგი დაცული ტერიტორიები, ყაზბეგის ეროვნული პარკი, თრუსოს დაცული ლანდშაფტი, სახიზნარის კლდის ბუნების ძეგლი, აბანოს მინერალური ტბის ბუნების ძეგლი, თრუსოს ტრავერტინების ბუნების ძეგლი, ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინის ბუნების ძეგლი, ქეთერისის მინერალური ვოკლუზის ბუნების ძეგლი, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, ასას აღკვეთილი, როშკის ბუნების ძეგლი და არაგვის დაცული ლანდშაფტი. სულ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დაცული ტერიტორიების ფართობია 284225 ჰა, რაც საქართველოს დაცული ტერიტორიების 31%-ია, ხოლო რეგიონის ფართობის 42%-ს შეადგენს.
გ) გარდაბნის აღკვეთილი 26 აღკვეთილიდან ერთ-ერთია, ასევე ქვემო ქართლის რეგიონში არსებული სხვა დაცული ტერიტორიებია: ალგეთის ეროვნული პარკი, ბირთვისის ბუნების ძეგლი, დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი, ამავე რეგიონში მდებარეობს ასევე თბილისის ეროვნული პარკის ნაწილი (მარტყოფის უბანი).
დ) ჯამში ქვემო ქართლის რეგიონის დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 13958.70 ჰა-ს, რაც საქართველოს დაცული ტერიტორიების 1.5%-ს, ხოლო რეგიონის ფართობის 2.1%-ს შეადგენს.

მუხლი 9. სამიზნე დაცული ტერიტორიების შექმნის მოკლე ისტორია

1. თბილისის ეროვნული პარკი:
ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 17 იანვრის № 35 დადგენილების თანახმად, საგურამოს სატყეოს ბაზაზე ჩამოყალიბდა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ/ბ/ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 21 სექტემბრის №1335 დადგენილების საფუძველზე ზოგიერთ სხვა ნაკრძალთან ერთად გაუქმდა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი. 1957 წლის 10 აპრილის №196 დადგენილებით აღდგენილ იქნა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი და მისი ტყის მასივები გამოცხადდა როგორც ფლორის, ასევე ფაუნის მთლიან – კომპლექსურ ნაკრძალად;
ბ) კავკასიაში პირველი ეროვნული პარკი – თბილისის ეროვნული პარკია, რომელიცშეიქმნა აშშ-ში იელოუსტონის ეროვნული პარკის შექმნიდან 100 წლის თავზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის №114 დადგენილებით, თავდაპირველად – საგურამოს ეროვნული პარკის სახელწოდებით. შემდგომში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის №372 დადგენილებით შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა თბილისის ეროვნული პარკი;
გ) 2007 წლის 3 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების დაცვის, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში რეკრეაციული, ეკოტურისტული და ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით აღდგა თბილისის ეროვნული პარკი და გაფართოვდა თიანეთის, მცხეთისა და საგარეჯოს სატყეო მეურნეობების, დიდგორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის მიწების ნაწილისა და საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ხარჯზე. კანონის თანახმად, თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობმა შეადგინა 24327,8 ჰექტარი.
დ) 2009 წლის 3 აგვისტოს „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გამოტანილ იქნა მაგისტრალური მილსადენებით დაკავებული ტერიტორია, რის შემდეგაც ეროვნული პარკის ფართობმა შეადგინა 22425,06 ჰა;
ე) 2011 წლის 31 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გამოტანილ იქნა ყოფილი თბილისის დენდროლოგიური პარკის და თბილისის ზღვის სატყეოს ტერიტორიები, რომლებიც გადაეცა თბილისის მერიას. ამორიცხული ფართობების საკომპენსაციოდ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილს

მიენიჭა ეროვნული პარკის სტატუსი. აღნიშნული ცვლილების შემდეგ ეროვნული პარკის ფართობმა შეადგინა 23218,28 ჰა;
ვ) 2014 წელს ჩატარდა თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის დემარკაცია, რის შედეგადაც ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გატანილ იქნა ის ტერიტორიები, რომლებიც არ შეესაბამება დაცული ტერიტორიის სტატუსს: სახეცვლილია ან არ გააჩნია კონსერვაციული ღირებულება ან არ შეესაბამება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს (საკარმიდამო ნაკვეთები, ხეხილის ბაღები და სხვა), საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ინფრასტრუქტურა, მოქმედი საკულტო ნაგებობები, სასაფლაოები და სხვა. 2015 წლის 3 ივნისს დემარკაციის შედეგების გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტის მიერ „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და ეროვნული პარკის ფართობმა შეადგინა 21036,14 ჰა.
2. გარდაბნის აღკვეთილი:
ა) საქართველოს სსრ სახკომ საბჭოს 1936 წლის 27 ნოემბრის №1546 დადგენილებით თბილისის ტყე მეურნეობას გამოეყო ყარაიაზის სატყეო მეურნეობა, რომლის ბაზაზე 1957 წლის 19 სექტემბრის №606 დადგენილებით ყარაიაზის სატყეო მეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა გარდაბნის სატყეო -სამონადირეო მეურნეობა;
ბ) ცხოველთა სამყაროს შესახებ საქართველოს კანონის (25/12/1996) 67-ე მუხლის შესაბამისად გაუქმდა სახელმწიფო სამონადირეო (სატყეო-სამონადირეო) მეურნეობები და მათ ბაზაზე (არსებულ გეოგრაფიულ საზღვრებში) შეიქმნა გარდაბნის აღკვეთილი. აღნიშნული კანონის შესაბამისად გარდაბნის სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობის ბაზაზე 3484 ჰექტარ ფართობზე შეიქმნა გარდაბნის აღკვეთილი – გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, თბილისიდან 39 კილომეტრში, აზერბაიჯანის საზღვართან. გარდაბნის აღკვეთილის საზღვრების დაზუსტების შემდეგ მისი ფართობი გაიზარდა 369,7 ჰექტარით და შეადგინა 3733,7 ჰექტარი.
3. ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლი:
ა) ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლების შექმნის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად 2013 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 19,6 ჰექტარ ფართობზე შეიქმნა ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლი;
ბ) ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლი მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბოდორნასთან, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო მაგისტრალის, მიმდებარედ;
გ) ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლი წარმოადგენს ნეოგენური კონგლომერატით, ანუ ბუნებრივად შეცემენტებულ რიყნარებში გამომუშავებულ კლდის სვეტს, რომლის სიმაღლე 15 მეტრია. სვეტის ქვედა ნაწილის დიამეტრი 4 მეტრია, ზემოთ თანდათან ვიწროვდება. ბოდორნის სვეტის ქვედა ნაწილში ორ ოთახიანი გამოქვაბულია კედელში გამოჭრილი თახჩით. სვეტიდან დაახლოებით 150-200 მ-ში აღმართულია XVII საუკუნეში აგებული ბოდორნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ბუნების ძეგლის მიმდებარე ფერდობებზე საკმაოდ მრავლად არის ადამიანის ხელით ნაკვეთი გამოქვაბულები, რომელთაც ისტორიულ წარსულში საკულტო ან თავშესაფრის დანიშნულება ჰქონდათ;
დ) ბოდორნის სვეტი ზღვის დონიდან 750 მეტრზე ციცაბო ტყით შემოსილ ფერდზეა წარმოდგენილი. სვეტის ქვედა ნაწილის დიამეტრი 4 მეტრია, ზემოთ კი თანდათან ვიწროვდება, თხემზე ბუჩქებია ამოსული. სვეტის თავისებურება ისიც არის, რომ მის ქვედა ნაწილში, აღმოსავლეთ მხრიდან გამოჭრილია 2 გამოქვაბული. ბოდორნის სვეტი გარეგნული ფორმითა და სიდიდით წააგავს კავკასიის მთიანეთში მოდარაჯე კოშკებს.

მუხლი 10. ბიომრავალფეროვნება

1. თბილისის ეროვნული პარკი და გარდაბნის აღკვეთილი საკვანძო დაცულ ტერიტორიებს წარმოადგენს ადგილმდებარეობისა და ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით. ეროვნული

პარკის ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება დედაქალაქ თბილისს და უზრუნველყოფს ქალაქის მიმდებარედ არსებული უნიკალური ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას.

2. ფლორა:

ა) თბილისის ეროვნული პარკი მდიდარია ფლორისტულად. აქ გავრცელებულია ძირითადი მცენარეული საფარის 699 სახეობა, საიდანაც 114 მერქნიანი მცენარეების, ხოლო 581 ბალახოვნების სახეობა გვხვდება. მერქნიანი მცენარეებიდან ვხვდებით ხე-მცენარეების – 38 და ბუჩქების – 76 სახეობას. ბალახოვნებიდან მრავალწლიანია – 381, ორწლიანი – 45, ერთწლიანი კი – 159 სახეობა;

ბ) თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის 97.4% ტყით არის დაფარული, რაც 20489 ჰექტარს შეადგენს. 2019 წლის თბილისის ეროვნული პარკის ტყის მართვის გეგმის მონაცემებით, ტერიტორიაზე გაბატონებულ მერქნიან სახეობას წიფელი წარმოადგენს და მას ტყით დაფარული ტერიტორიის დაახლოებით 60,8 % უკავია. ფართოდ არის გავრცელებული ქართული მუხა, რომელიც ტყით დაფარული ტერიტორიის დაახლოებით 20,4%-ს ფარავს. გაბატონებულ სახეობებში მესამე ადგილს იკავებს რცხილა, რომელიც წარმოდგენილია ტყით დაფარული ტერიტორიის დაახლოებით 12,9%-ზე. გარდა აღნიშნული სახეობებისა, ტერიტორიაზე გაფანტულად არის გავრცელებული ჩვეულებრივი იფნის 2,3% და ჯაგრცხილის 1,8%. ტყით დაფარული ფართობების 1,8%-ზე წარმოდგენილია პანტის, ტყემლის, თხმელის, მაჟალოს, ფიჭვის, ღვიისა და სხვა ტყის ეკოსისტემები. საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებიდან გაბატონებული სახეობების მიხედვით წარმოდგენილია პატარა თელადუმისა (4,9 ჰა) და ქიქოძის ტირიფის (6 ჰა) ტყეები;

გ) ქვეტყეში გვხვდება: კუნელის, შინდის, ზღმარტლის, ჭანჭყატის, თრიმლის და სხვა დასახელების ბუჩქები (სულყოფილი სია იხ. დანართი №12);

დ) თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორებზე ნაირფეროვან ბალახოვან საფარს წივანას სხვადასხვა სახეობები ქმნის. წივანასთან ერთად გვხვდება: თაგვისარა, კრაზანა, ბრძამი, ჩვეულებრივი თავშავა და სხვა მცენარეები;

ე) თბილისის ეროვნულ პარკში წარმოდგენილია უთხოვრის ქვეტყის უნიკალური კორომები და ხელოვნურად გაშენებული ფიჭვნარები. თბილისის ეროვნულ პარკში ტყეებს ვერტიკალური ზონალობა ახასიათებთ;

ვ) გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიის 54,2% (1889ჰა) ტყით არის დაფარული. ტყით დაფარული ფართობიდან 1995 წლის ტყეთმოწყობის მონაცემების მიხედვით ჭალის მუხას 363 ჰა უჭირავს, ვერხვის კორომებს – 1149 ჰა, აკაციას – 251 ჰა, კაკალს – 24 ჰა, თუთის ტყეს – 19 ჰა. შემოტანილი უცხო სახეობებიდან აკაციას უჭირავს 259 ჰა, გლედიჩიას – 33 ჰა, ამორფას – 39 ჰა. ბროწეული წარმოდგენილია 1 ჰა-ზე, ხოლო ჭადარი 2 ჰა-ზე. ხეებიდან და ბუჩქნარებიდან გვხვდება ასკილი, შინდი, კვრინჩხი, იალღუნი და სხვ.

3. საქართველოს ,,წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეები:

ა) საქართველოს ,,წითელი ნუსხის“ სახეობებიდან თბილისის ეროვნულ პარკში გავრცელებულია: კოლხური ბზა (*Buxus colchica Pojark.*), უთხოვარი (*Taxus baccata L.*), შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra Huds.*), პატარა თელადუმა (*Ulmus Minor Mill.*), ჩვეულებრივი კაკალი (*Juglans regia L.*), ღვია მყრალი (*Juniperus foetidissima*) და სხვა;

ბ) გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობებიდან ჭალის მუხის გაბატონებით წარმოდგენილია 363 ჰექტარი ტყე და კაკლის ტყეს ვხვდებით 24 ჰექტარზე.

4. ენდემური და რელიქტური მცენარეები:

თბილისის ეროვნულ პარკში დენდროფლორა წარმოდგენილია მესამეული პერიოდის კოლხეთის ფლორის წარმომადგენლებით: კოლხური ჭყორი *(Ilex colchica*), კოლხური სურო (*Hederacolchica*) და პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchowii*), აღმოსავლეთის ძახველი (*Viburnum opulus*), თაგვისარა (*Ruscus ponticus*), უთხოვარი (*Taxus baccata*), კავკასიური დეკა (*Rhododendron caucasicum*), მოცვი (*Vaccinium arctostaphilos*), ეკალღიჭი (*Smilax excelsa*), წყავი (*Laurocerasus officinalis*) და სხვა.

5. თბილისის ეროვნული პარკის ფაუნა:
ა) თბილისის ეროვნულ პარკში ძუძუმწოვრებიდან გავრცელებულია: კავკასიური და ჩვეულებრივი ფოცხვერი (*Lynx lynx*) და მურა დათვი (*Ursus arctos*). მელა *(Vulpes vulpes)*, რუხი მგელი *(Canis lupus),* ევროპული შველი (*Capreolus capreolus*), ტურა (*Canis aureus*), მაჩვზღარბა (*Hystrix indica*), კურდღელი (*Lepus),* ტყის კვერნა (*Martes martes*), ტყის კატა (*Felis silvestris*), ენოტი (*Procyon lotor*), ენოტისმსგავსი ძაღლი (*Nyctereutes procyonoides*), ამიერკავკასიის მაჩვი (*Meles meles*), ჩვეულებრივი ციყვი (*Sciurus*), სინდიოფალა (*Mustela №ivalis*) და სხვა მცირე ძუძუმწოვრები. საგურამოს ნაკრძალის ტერიტორია ჯიქის (*Panthera pardus*) საბინადრო გარემოს წარმოადგენდა, სადაც 1954 წელს ზედაზნის მისადგომებთან ჯიქი იქნა მონადირებული. ადრე საგურამოს ნაკრძალი კავკასიური კეთილშობილი ირმის (*Cervus elaphus*) გავრცელების არეალს წარმოადგენდა, ხოლო ამჟამად მხოლოდ გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე გვხვდება;
ბ) თბილისის ეროვნულ პარკში ორნითოფაუნიდან ბინადრობენ: ქედანი (*Columba palumbus*), ჩხიკვი (*Garrulus glandarius*), შავი შაშვი (*Turdus merula*), ჩხართვი (*Turdus viscivorus*), მინდვრის ტოროლა (*Alauda arvensis*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*) და სხვა. მტაცებელი ფრინველებიდან პარკში გავრცელებულია მიმინო (*Accipiter №isus*), ბექობის არწივი (*Aquila heliaca*), შევარდენი (*Falco peregrinus*), მერა (*Milvus migrans*), ჩია არწივი (*Hieraaetus pennatus*), ქორი (*Accipiter gentilis*) და სხვა;
გ) მდინარე თეზამში გავრცელებულია შემდეგი სახეობის თევზები: მურწა (*Luciobarbus mursa*), ჩვეულებრივი გველანა *(Cibitis taenia Linnaeus*), წინაკავკასიური გველანა (*Sabanejewia caucasica*), ნაფოტა *(Rutilus),* მტკვრის გოჭალა *(Barbatula brandtii)* კავკასიის ენდემებია, ხოლო მტკვრის გოჭალა *(Barbatula brandtii)* ამიერკავკასიის ენდემია. მდ. თრანულაში მდინარის კალმახი (*Salmo fario trutta*) გვხვდება;
დ) ტერიტორიაზე ქვეწარმავალის შემდეგი სახეობა გვხვდება: ხმელთაშუაზღვის კუ (*Testudo graeca*), ბოხმეჭა (*Anguis fragilis*), გველხოკერა (*Ophisaurus apodus*), ზოლებიანი ხვლიკი (*Lacerta strigata*), მდელოს ხვლიკი (*Darevskia praticola*), საშუალო ხვლიკი (*Lacerta media*), კავკასიური ჯოჯო (*Paralaudakia caucasia*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix №atrix*), წითელმუცელა მცურავი (*Dolichophis schmidti*), სპილენძა (*Coronella austriaca*) და სხვა. უმეტესობა აქტიურობას იწყებს გაზაფხულზე, აპრილის თვის დასაწყისში, ზამთრის ძილქუშს ოქტომბერ-ნოემბერში ეძლევა.
6. გარდაბნის აღკვეთილის ფაუნა:
ა) გარდაბნის აღკვეთილში ხერხემლიანების, კერძოდ, თევზების – 21, ამფიბიების – 4, რეპტილების – 4, ფრინველების – 135 და ძუძუმწოვრების 26 სახეობა ბინადრობს, რაც ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს. გარდაბნის დაცულ ტერიტორიაზე გვხვდება კეთილშობილი ირემი, რომელიც საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი;
ბ) გარდაბნის აღკვეთილში ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს მელა (*Vulpes vulpes*), რუხი მგელი (*Canis lupus*), ტურა (*Canis aureus*), მაჩვზღარბა (*Hystrix indica*), კურდღელი (*Lepus*), ტყის კვერნა (*Martes martes*), ლელიანის კატა (*Felis silvestris*), ენოტი (*Procyon lotor*), ენოტისმსგავსი ძაღლი (*Nyctereutes procyonoides*), ამიერკავკასიის მაჩვი (*Meles meles*), გარეული ღორი (*Sus scrofa*), წავი (*Lutra lutra*). ჩვეულებრივი ციყვი (*Sciurus*), სინდიოფალა (*Mustela №ivalis)* და სხვა მცირე ძუძუმწოვრები. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე გვხვდება კავკასიური კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), რომელიც კავკასიაში ერთადერთი ჭალის ტყის პოპულაცია არის;
გ) ფრინველებიდან – ქედანი (*Columba palumbus*), ოფოფი (*Pupa epops*), კაჭკაჭი (*Pica pica*), ჩიტბატონა (*Serinus pusillus*), შავი ყარყატი (*Ciconia №igra*), დიდი თეთრი ყანჩა (*Ardea alba*), რუხი წერო (*Grus grus*), კოლხური ხოხობი (*Phasianus colchicus*), დიდი ჩვამა (*Phalacrocorax carbo*), ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo*) შავი და რუხი შაშვი (*Turdus*), ყვავი (*Corvus*), კაჭკაჭი (*Pica pica*), ოფოფი (*Upupa epops*), ჩიტბატონა (*Serinus pusillus*), ბულბული (*Luscinia*) და სხვა. მტაცებელი ფრინველებიდან გვხვდება ჩვეულებრივი კაკაჩა, მცირე არწივი, შავი მერა, და კირკიტა. გვხვდება ისიათი იშვიათი სახეობები, როგორიცაა ფსოვი (*Haliaeetus*), შაკი (*Pandion haliaetus*), გველიჭამია არწივი (*Circaetus gallicus*) რომლებიც შეტანილი არიან „წითელ ნუსხაში“;

დ) ქვეწარმავლებიდან აღკვეთილში გვხვდება ხმელთაშუაზღვის კუ (*Testudo graeca*), ჩვეულებრივი გველგესლა (*Vipera berus*), ანკარა (*Natrix*), გიურზა (*Macrovipera lebetinus*) და სხვა.
ე) თევზებიდან მდ. მტკვარში მრავლად ბინადრობს ლოქო (*Silurus glanis*), კობრი (*Cyprinus carpio*), კაპარჭინა (*Abramis brama*), წვერა (*Barbus*), მურწა (*Luciobarbus mursa*) და სხვა მრავალი სახეობის პატარა თევზი.
7. საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები:
ა) ეროვნული პარკის ტერიტორიაზე იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებიდან აღსანიშნავია: მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), ტყის კატა (*Felis silvestris*) და კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*). გარდაბნის აღკვეთილში ფიქსირდება კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*);
ბ) ფრინველებიდან „წითელი ნუსხის“ წარმომადგენლები არიან: ბექობის არწივი (Aquila heliaca), დიდი მყივანა არწივი (*Clanga clanga*), ჭოტი (*Athene Noctua*), ბუხრინწა (*Tyto alba*), ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*) და სხვა. (სულყოფილი სია იხ. დანართი №12);
გ) გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებიდან გვხვდება წავი (*Lutra lutra*) და კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*).
8. ენდემური სახეობები:
თბილისის ეროვნულ პარკში წვრილი ძუძუმწოვრების 46 ენდემური სახეობაა გავრცელებული. მათგან აღსანიშნავია: ჩვეულებრივი ციყვი (*Sciurus vulgaris*), ველის თაგვი (*Mus macedonicus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), აღმოსავლეთევროპული ზღარბი (*Erinaceus concolor*), კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*) და სხვა (იხ. დანართი №12).

მუხლი 11. ზურმუხტის ქსელი

1. ზურმუხტის ქსელი არის პანევროპული ეკოლოგიური ქსელი, რომელიც ევროპის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ემსახურება. მისი ჩამოყალიბება ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბერნი, 1979), ანუ „ბერნის კონვენციის“ აუცილებელი მოთხოვნა და ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია.
2. თბილისის ეროვნული პარკის მაღალ კონსერვაციულ ღირებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ტერიტორიას მინიჭებული აქვს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული ტერიტორიის სტატუსი;
3. ბერნის კონვენცია ეყრდნობა პრინციპს, რომ სახეობების გრძელვადიანი გადარჩენა შეუძლებელია იმ ჰაბიტატების დაცვის გარეშე, სადაც ისინი ბინადრობენ. შესაბამისად, ბერნის კონვენცია მთავარ აქცენტს სწორედ ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნებაზე აკეთებს.
4. ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსის მისანიჭებლად, მთელ ევროპაში ხდება ისეთი ადგილების შერჩევა, რომლებიც განსაკუთრებით მდიდარია ბერნის კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი ჰაბიტატებითა და სახეობებით. ასეთ ტერიტორიებს ენიჭებათ „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების (Areas of Special Conservational Interest – ASCI) სტატუსი და ერთიანდება ე.წ. ზურმუხტის ქსელში.
5. ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსი მინიჭებული აქვს საგურამოს – Saguramo (კოდი – GE0000047), რომლის საზღვარიც ემთხვევა დაცული ტერიტორიის საზღვარს.
6. ზურმუხტის ტერიტორიას წარმოადგენს ასევე გარდაბნის აღკვეთილი – Gardabani (კოდი – GE000019), რომელიც ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიას წარმოადგენს.
7. გარდაბნის ზურმუხტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ბერნის კონვენციის მე-4 რეზოლუციით დაცული 3 ჰაბიტატი: E3.5 ნოტიო ან სველი ოლიგოტროფული ბალახოვანი ცენოზები; G1.21 მდინარისპირა იფან–თხმელნარი ტყე, რომელიც მხოლოდ წყლის დონის აწევისას სველდება; G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე.
8. საგურამოს ზურმუხტის ტერიტორიაზე, წარმოდგენილია ბერნის კონვენციის მე-4 რეზოლუციით დაცული 5 ჰაბიტატი:
ა) E3.4 ნოტიო ან სველი ეუტროფული და მეზოტროფული ბალახოვანი ცენოზები;
ბ) F9.1 მდინარისპირა ბუჩქნარი;

გ) F9.3 სამხრეთული ჭალის პარკული ტყეები და რაყები (გარდა F9.35-ისა: ინვაზიური ბუჩქების მდინარისპირა რაყები);
დ) G1.6 წიფლნარი;
ე) G1.A1 მუხა – იფანი – რცხილის ტყე ეუტროფულ და მეზოტროფულ ნიადაგებზე.
9. საგურამოს ზურმუხტის ტერიტორიაზე ასევე გავრცელებულია ბერნის კონვენციის კომიტეტის რეზოლუციით დაცული სახეობები, მათ შორის აღსანიშნია: მურა დათვი, მგელი, წავი, ველის არწივი, მცირე არწივი, ფასკუნჯი, ალპური ხარაბუზა, ველის იორდასალამი, აღმ. კავკასიური სავარცხლიანი ტრიდონი და სხვა სახეობები (სრული ჩამონათვალი იხილეთ დანართში № 13).
10. გარდაბნის ზურმუხტის ტერიტორიაზე ასევე გავრცელებულია ბერნის კონვენციის კომიტეტის რეზოლუციით დაცული სახეობები, მათ შორის აღსანიშნია: ფოცხვერი, წავი და სხვა სახეობები (სრული ჩამონათვალი იხილეთ დანართში № 13).

მუხლი 12. ლანდშაფტები

1. თბილისის ეროვნული პარკის ლანდშაფტები
ა) თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მცენარეთა ვერტიკალური ზონალობა, როგორც მთიანი პირობებისათვის დამახასიათებელი მოვლენა, გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება: თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რელიეფის წმინდა თავისებურებებს მასში გარკვეული ცვლილებები შეაქვს;
ბ) კავკასიის ტყის მცენარეული ოლქებისა და ვერტიკალური ზონალობის მიხედვით (აკად. ვ. გულისაშვილი) თბილისის ეროვნული პარკის კორომები აღმოსავლეთ საქართველოს ტყიან ნაწილში შედის;
გ) ეროვნული პარკის ტერიტორია მოიცავს საგურამო-იალნოს და საბადურის საშუალო მთიან განედურ ქედებსა და მათ შორის მდებარე თეზამის, გლდანის, თრანულის და იორის ხეობების ნაწილს;
დ) საგურამო-იალნოს ქედის შუა ნაწილში შეინიშნება ჩადაბლება – ლელუბნის უღელტეხილი. მის დასავლეთით მდებარეობს საგურამოს, ხოლო აღმოსავლეთით იალნოს ქედი;
ე) საგურამო-იალნოს ქედის სამხრეთ ფერდობზე წარმოდგენილია ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი და მუხნარი (ქართული მუხის) ტყეებით. ასევე, მთისწინეთის ბორცვიანი დენუდაციურ-აკუმულაციური ლანდშაფტი უროიანი სტეპებისა და შიბლიაკის კომპლექსით, იშვიათად ფრიგანითა და ტყის დერივატებით.
2. გარდაბნის აღკვეთილის ლანდშაფტები:
მტკვრის ხეობაში გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ჭალის ტყის ლანდშაფტები, სადაც პირველ ტერასაზე წარმოდგენილია ტირიფები, ხოლო მეორე ტერასაზე ვერხვნარ-მუხნარი ტყის ლანდშაფტები, სადაც გვხვდება ჭალის მუხის, ხვალო, შავი ვერხვის, მინდვრის თელის, შავი კუნელის, თეთრი აკაციის და სხვა სახეობის ჭალის ტყეებისათვის დამახასიათებელი ხეები.

მუხლი 13. ჰაბიტატები

1. თბილისის ეროვნული პარკის ჰაბიტატები.
ა) ნათელი ტყეების სარტყელი ზ.დ. 600 მეტრამდეა გავრცელებული, რომელიც წარმოდგენილია ღვიების, ძეძვის და სხვა დაბალტანიანი ხეებისა და ბუჩქნარებისაგან;
ბ) მუხის ტყეების სარტყელი ვრცელდება ზ.დ. 600 მეტრიდან 1000 მეტრამდე. მცენარეთა საფარი წარმოდგენილია მუხის, მინდვრის ნეკერჩხალის, ჯაგრცხილის, იფნის, რცხილის და სხვა სახეობებით;
გ) წიფლის ტყის სარტყელი ვრცელდება ზ.დ. 1000 მეტრიდან 1600 მეტრამდე, რომელიც წარმოდგენილია აღმოსავლეთის წიფლის, ნეკერჩხალის, იფნის და სხვა სახეობებისაგან;
დ) ტყის ტიპები ეროვნული პარკის რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავს მისი ჰავისა და ნიადაგის ნაირგვარობას, რომლებიც თავის მხრივ განაპირობებს მცენარეული საფარის და ტყის ტიპების მრავალფეროვნებას;

ე) ეროვნული პარკის ფართობები ძირითადად წარმოდგენილია წიფლნარი, მუხნარი, რცხილნარ-მუხნარი, ჯაგრცხილნარი ფორმაციათა ტყის ტიპებით;
ვ) წიფლნარი ტყეები იკავებს შუა სარტყელს ზ.დ. 1000-1600 მ. სიმაღლეზე წიფლნარები გხვდება თითქმის ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე. წმინდა წიფლნარებს უმთავრესად უკავია ჩრდილო ექსპოზიის ფერდობები. სამხრეთსა და აღმოსავლეთის ფერდობებზე წიფლის გავრცელება შესუსტებულია, რადგან მას ძლიერ კონკურენციას უწევს სიმშრალის ამტანი სახეობები – მუხა და რცხილა;
ზ) წიფლნარი წივანის საფარით – ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელების დიდი დიაპაზონით ხასიათდება. იგი იკავებს თითქმის ყველა ექსპოზიციის საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებს. აღნიშნული ტიპის კორომები ძირითადად ვითარდება თხელი და საშუალო სიღრმის ტყის ყომრალ ნიადაგებზე. ხასიათდება საშუალო წარმადობის ბონიტეტით – III. სიხშირე 0.6 – 0.7. ქვეტყე თხელია. გხვდება კუნელი, ძახველი, იშვიათად ჭყორი. ბალახეული საფარის მთავარი ინდიკატორია მთის წივანა. მას ერევა თივაქასრა, ისლი, მაჩიტა, მაყვალი;
თ) წიფლნარი წვრილბალახოვანი, ჩიტისთვალას და ქრისტესბეჭედას საფარით – წარმოდგენილია ჩიტისთვალას და ქრისტესბეჭედას ან ერთობლივი ინდიკატორებით, ან რომელიმე მათგანის გაბატონებით. ამ ტიპის ჯგუფი გავრცელებულია ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის მცირე და საშუალო დაქანების ფერდობებზე. ზ.დ. 1100 – 1300 მეტრ სიმაღლეზე. ტყის ტიპების ეს ჯგუფი ქმნის საკმაოდ გრილ და მაღალ წარმადობის კორომებს. თავის გავრცელების ოპტიმალურ პირობებში ტყის ეს ტიპი წარმოდგენილია 0.6 – 0.8 სიხშირის კორომებით. ქვეტყეში ერთდროულად გვხვდება ჭანჭყატი, დიდგულა. ბალახოვან საფარში ჭარბობენ სურნელოვანი ჩიტისთვალა და ქრისტესბეჭედა, რომელთაც ერევათ ტყის ცირცველა, უჯმურა;
ი) წიფლნარი გვიმრისა და მაყვლის საფარით – გვხვდება უმთავრესად მთების შუა სარტყლიდან თითქმის სუბალპურ სარტყლამდე. იგი იკავებს ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის 15^0 – 20^0 დაქანების ფერდობებს. ფერდობები წარმოდგენილია წმინდა წიფლნარებით, რომელშიც შერეულია იფანი, ხოლო წიფლის გავრცელების ზედა ზონაში კი მაღალი მთის ნეკერჩხალი. კორომები უმთავრესად ნაირსახოვანია გვიმრის გაბატონებით. მას დიდი რაოდენობით ერევა მაყვალი. ბალახოვანი საფარის ეს ორი წარმომადგენელი ხელს უშლის სხვადასხვა ბალახოვან მცენარეების გავრცელებას და ქმნის ერთიან ფონს;
კ) წიფლნარი ჭყორის ქვეტყით – ქმნის ე.წ. კოლხური ტიპის წიფლნარებს. წიფლნარების ფორმაციაში ეს ტიპი პირველადია. იგი იკავებს ჩრდილო ექსპოზიციის მცირე და საშუალო დაქანების ღრმა ნიადაგებით, ზ.დ. 900 – 1100 მეტრ სიმაღლეზე. კორომები წარმოდგენილია წიფლის გაბატონებით, რომელსაც უმნიშვნელოდ ერევა რცხილა, მუხა, ნეკერჩხალი. ტყის ტიპის ინდიკატორად აქ წარმოდგენილია ჭყორი. ბალახეული მცენარეებიდან გვხვდება ტყის ფარსმანდუკი, უჯმურა, ცირცველი, ჩადუნა და სხვა;
ლ) რცხილნარ-მუხნარი, რცხილნარ-მუხნარ-ჯაგრცხილიანი ტყეები – ისინი წარმოდგენილია ნაირბალახოვანი და წივანის ტიპებით. აქ კორომები ორსართულიანია: I სართული შექმნილია მუხისა და რცხილის მიერ, ხოლო II სართულში გაბატონებულია ჯაგრცხილა, რომელსაც ერევა ნეკერჩხალი, იფანი და სხვა;
მ) ღვიისა და ძეძვის ტყეები – წარმოდგენილია ნაირბალახოვანი ტყის ტიპით. აღნიშნული სახეობები ქმნიან ნათელ ტყეებს.
2. გარდაბნის აღკვეთილის ჰაბიტატები. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ჭალის ტყეები ნაირბალახოვანი ტყის ტიპით.ჭალის ტყეების ძირითადი წამყვამი სახეობებია ჭალის მუხა, ვერხვი და ტირიფი.

მუხლი 14. რელიეფი, ნიადაგები და ჰიდროლოგია

1. თბილისის ეროვნული პარკი რელიეფი:
ა) თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია მთაგორიანია, გეომორფოლოგიურად მთებით, ფერდობებით და ხევებით შედგენილ, ძლიერ დასერილ ტერიტორიას წარმოადგენს. იგი მოიცავს

საგურამო-იალნოსა და საბადურის საშუალო მთიან განედურ ქედებსა და მათ შორის მდებარე თეძამისა და გორანის გასწვრივ ხეობებს. უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 1766 მეტრზე მდებარეობს. მთა იკვლივი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთების საგურამო-იალნოს ქედებსა და მათ განშტოებათა ფერდებს შორის, რომლებიც განედურად გადაჭიმულია მდ. მტკვრიდან მდ. იორამდე ზ.დ 600-1,700 მ სიმაღლეზე;
ბ) ეროვნული პარკის ტერიტორიას საკმაოდ რთული რელიეფი აქვს, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ნიადაგწარმოქმნის პროცესებზე. ტერიტორიაზე მრავლადაა ცალკეული ოროგრაფიული ელემენტები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ხევებითა და ხრამებით, რაც მას დანაოჭებულ იერს ამლევს;
გ) რთული რელიეფის ჩამოყალიბება-ფორმირება გეოლოგიური წარსულის შედეგია. გეოლოგიურმა პროცესებმა განაპირობა ნიადაგწარმომქმნელ ქანთა ნაირგვაროვნება, რამაც, თავის მხრივ, სხვა ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად გამოხატულება ჰპოვა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ტიპის ნიადაგების ჩამოყალიბებაში;
დ) ძირითადად ნიადაგწარმომქმნელ ქანებად აქ წარმოდგენილია კარბონატული ქვიშაქვები და კონგლომერატები, უკარბონატო თიხა-ფიქალები, ალუვიური ნაფენები და სხვა.
2. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული ნიადაგები და ნიადაგური ტიპები:
ა) ტყის ყომრალი, მცირე სისქის, ხირხატიანი, მძიმე თიხნარი, ალაგ სუსტად განვითარებული უკარბონატო ქვიშა-ქვებისა და თიხა ფიქალების გამოფიტვის პროდუქტებზე;
ბ) ტყის ყომრალი, საშუალო და დიდი სისქის, თიხნარი, ხირხატიანი, განვითარებული უკარბონატო ქვიშა-ქვებისა და თიხა ფიქალების გამოფიტვის პროდუქტებზე;
გ) ტყის ღია ყომრალი, დიდი სისქის თიხნარი და თიხიანი, ხირხატიანი, განვითარებული დანალექი ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე;
დ) ტყის ყავისფერი, კარბონატული, მცირე სისქის, მძიმე თიხნარი, ალაგ სუსტად ჩამორეცხილი განვითარებულ კარბონატულ ქვიშა-ქვებზე, კონგლომერატებზე და ქვაღორღიან ნაფენებზე.
ე) ტყის ყავისფერი კარბონატული, საშუალო და დიდი სისქის მძიმე თიხნარი, ალაგ ხირხატიანი, განვითარებული კარბონატულ ქვიშაქვებზე და კონგლომერატებზე;
ვ) ნეშომპალა-კარბონატული მძიმე თიხნარი, ხირხატიანი, ალაგ ეროდირებული;
ზ) ალუვიური კარბონატული, საშუალო და დიდი სისქის თიხნარი, განვითარებული ალუვიურ ქვიშიან ნაფნებზე.
3. ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგები და გაშიშვლებული ქანები:
ა) ტყის ყომრალი მცირე სისქის ნიადაგები ძირითადად გხვდება ზღვის დონიდან 1500 მ სიმაღლეზე. მათი გავრცელების ზონა შეესაბამება წიფლნარ ტყეებს. ნიადაგებისათვის დამახასიათებელია მცირე სისქის ჰუმუსიანი ფენა, მძიმე მექანიკური შემადგენლობა, ხირხატიანობა და ალაგ-ალაგ ნიადაგის ჩამორეცხილობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიადაგები გავრცელებულია დიდი დაქანების ფერდობებზე, მათი ეროზიული პროცესები ნაკლებად არის გამოხატული;
ბ) ტყის ყომრალი საშუალო და დიდი სისქის თიხნარები განვითარებულია ზღვის დონიდან 100-1500 მ სიმაღლეზე, შედარებით ნაკლებად დაქანებულ ფერდობებზე. ეს ნიადაგები განვითარებულია დანალექი ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე, რომლებიც კარბონატებს არ შეიცავენ. ეს ნიადაგები გხვდება წიფლნარ და მუხნარ კორომებში. ამ ნიადაგს აქვს კარგად გამოხატული ჰუმუსიანი ჰორიზონტი;
გ) ტყის ღია ყომრალი ნიადაგები გავრცელებულია ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, განვითარებულია უკარბონატო ქანებზე. ამ ტიპის ნიადაგებს აქვთ კარგად გამოხატული გაეწერების ნიშნები ამ ნიადაგებს უფრო ღია შეფერილობა ახასიათებთ, რითიც განსხვავდებიან სხვა ტიპის ნიადაგებისაგან. მათთვის დამახასიათებელია ზედა ფენის კაკლოვან-კოშტოვანი სტრუქტურა, რომელიც სიღრმის ზრდასთან უსტრუქტურო მასაში გადადის, ალაგ ნიადაგის პროფილი ხირხატიანია;

დ) ტყის ყავისფერი კარბონატული მძიმე თიხნარები გავრცელებულია ზღვის დონიდან 650-900მ. სიმაღლეზე. განვითარებულია კარბონატულ ქანებზე, მუხნარ-რცხილნარ კორომების ქვეშ. იმის გამო, რომ ამ ზონებში ტყეები გაჩეხილია, ადგილი აქვს ეროზიების განვითარებას, ხშირად ვხვდებით ამ ნიადაგების ძლიერ ჩამორეცხილ ხირხატიან სახესხვაობას. ამ ზონაში უმთავრეს ღონისძიებას წარმოადგენს ეროზიული ფართობების გატყიანება და ძოვებისაგან დაცვა;
ე) ტყის ყავისფერი საშუალო და დიდი სისქის მძიმე თიხნარები გავრცელებულია კონგლომერატსა და ქვიშაქვების გამოფიტვის პროდუქტებზე. აღნიშნული ნიადაგები ყავისფერისებრი ნიადაგების განვითარების შემდეგი საფეხურებია, რომლის წარმოქმნაშიც მონაწილეობას იღებს სტაბილური ფიტოცენოზები-მუხა და რცხილა. ტყე აქ შეკრულ კორომებს არ ქმნის, რის გამოც განვითარებულია ნიადაგების დამკორდებელი ბალახოვანი მცენარეები;
ვ) ნეშომპალა-კარბონატული მძიმე თიხნარი განვითარებულია კირქვებზე ან კირიან კონგლომერატებზე. ამ ნიადაგების როგორც მცირე სირღმიანი სახესხვაობა, ასევე დიდი და საშუალო სირღმის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების ინტრაზონალურადაა განვითარებული და გვხვდება ყველგან, სადაც კარბონატული ქანებია წარმოდგენილი;
ზ) ნიადაგწარმომქნელ ქანებს კირქვები და კირიანი კონგლომერატები წარმოადგენს. ეს ნიადაგები შედარებით ნაკლები დაქანების ფერდობებზე გვხვდება და ამდენად იქ ეროზიული პროცესები ნაკლებად არის გამოხატული;
თ) ალუვიურ-კარბონატული თიხნარები განვითარებულია ალუვიურ ქვიშიან-რიყიან ნაფენებში. გვხვდება მდინარების და ზოგიერთი ხევების სანაპირო ზოლში და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მათ მცირე გავრცელების არეალი აქვთ. მორფოლოგიურად ამ ნიადაგებს ახასიათებს ჰორიზონტების დიფერენცირება და შრეობრივი აგებულება;
ი) ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ძლიერ ჩამორეცხილ ნიადაგებს ქანების გაშიშვლებით, ხევებით და ხრამებით საკმაოდ დიდი გავრცელების არეალი აქვთ, რაც დაკავშირებულია ტყის საფარის მოსპობასთან, განსაკუთრებით დიდი დაქანების ფერდობებზე. ქანების გაშიშვლების გამო მათზე ტყის აღდგენითი სამუშაოების წარმართვა შეუძლებელი ხდება. აქ მიზანშეწონილია ბალახ-მცენარეულობის საფარმა დააჩქაროს ნიადაგწარმოქმნის პროცესი. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული ზემოთ აღწერილი ნიადაგები სავსებით აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას არსებული ტყის კორომთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, ტყის ხელოვნური განვითარებისათვის.
4. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორია ძირითადად განლაგებულია მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ქართლის ვაკის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე. გეოლოგიურად გარდაბნის აღკვეთილი შედის ამიერკავკასიის მთათაშუა ოლქში და მოიცავს მისი აღმოსავლეთი ნაწილის დაძირვის ზონას. ტერიტორიის დიდი ნაწილი თანამედროვე (მეოთხეული ასაკის) ალუვიური, ალუვიურ-ზღვიური ნალექებითაა წარმოდგენილი. რელიეფური თავისებურებებით გამოირჩევა გარდაბნის აღკვეთილის მაგარიყურის უბანი და წარმოადგენს ციცაბო ფერდობებით შემოფარგლულ მდ. მტკვრის სანაპირო ზოლს.
5. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე არსებული ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე გამოიყოფა ნიადაგების შემდეგი ტიპები:
ა) დელუვიური წარმოშობის ტყე-მდელოს ნიადაგები, რომელიც გავრცელებულია აღკვეთილის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე შედარებით შემაღლებულ ფართობებზე და მექანიკური შემადგენლობით შედარებით ღრმა ნიადაგებს წარმოადგენს.
ბ) დელუვიური წარმოშობის ტყის მორუხო-მოყავისფრო ნიადაგები გავრცელებულია მცირე ლაქების სახით. ეს ნიადაგები დამახასიათებელია მუხნარი ტყეებისათვის. მექანიკური შემადგენლობით წარმოადგენენ მძიმე თიხნარ ნიადაგებს.
გ) დელუვიური წარმოშობის დამლაშებული ნიადაგები გავრცელებულია ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში. შემადგენლობით წარმოადგენენ მძიმე თიხნარ ნიადაგებს.
დ) დელუვიური წარმოშობის სუსტად დამლაშებულ ნიადაგებს ახასიათებთ შედარებით კარგი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რაც წარსულში მორწყვისა და გამორეცხვის შედეგია.

ე) ალუვიური წარმოშობის ქვა-ღორღიანი ნიადაგები გვხვდება მცირე ლაქების სახით მდ. მტკვრის გასწვრივ. მექანიკური შემადგენლობით წარმოადგენენ თიხნარ-ქვიშნარებს ქვაღორღის ჩანართით.
ვ) ტერასისპირა მერიის ჩამორეცხილი ნიადაგები გვხვდება მაგარი ყურის უბანში. მექანიკური შემადგენლობით წარმოადგენენ თიხნარ-ქვიშნარებს, რელიეფის სიმკვეთრისა და ეროზიების გამო გამოუსადეგარნი არიან.
ზ) მდ. მტკვრის მერიის ნიადაგები გავრცელებულია სანაპირო ზოლში. მექანიკური შემადგენლობით წარმოადგენენ მსუბუქ თიხნარ-ქვიშნარებს.
თ) დაჭაობებული ნიადაგები – აღრიცხულია პატარა ლაქების სახით მთლიანი აღკვეთილის ტერიტორიის უმნიშვნელო ფართობებზე.
6. თბილისის ეროვნული პარკის ჰიდროგრაფია:
ეროვნული პარკის ტერიტორიის ჰიდროგრაფიულ ქსელს ძირითადად ქმნიან მდინარეები: გლდანი, თეძამი და თრანი, რომლებიც უერთდებიან მდ. მტკვარს, მდ. არაგვს და მდინარე იორს. ეს მდინარეები სათავეებს იღებენ წყაროებიდან, მაგრამ წვიმებისა და თოვლის ჩქარი დნობის შედეგად ისინი სწრაფად დიდდებიან. აღნიშნული მდინარეების გარდა, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გვხვდება მრავალი პატარა მდინარე, რომლებიც გაზაფხულზე თოვლის დნობის პერიოდში გადიდებით, ზამთარში კი წყლის სიმცირით ხასიათდებიან.
7. გარდაბნის აღკვეთილის ჰიდროგრაფია:
გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე მიედინება მდ.მტკვარი, რომელიც გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებს შორის ადმინისტრაციულ საზღვარს წარმოადგენს. რელიეფის თავისებურებების გამო მდ.მტკვარი წყალდიდობების დროს ტბორავს სანაპიროს დაბლობ ნაწილს. კალაპოტის ხშირი ცვლილების გამო ადგილი აქვს პატარა კუნძულებზე არსებული მცენარეული საფარის წალეკვას, სანაპირო ზოლში ნიადაგის ჩამორეცხვას, რაც გარკვეულ ზემოქმედებას აყენებს გარდაბნის აღკვეთილის ჭალის ტყეს მტკვრის ხეობაში.

მუხლი 15. კლიმატი

1. თბილისის ეროვნული პარკის კლიმატი:
ა) თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია მოქცეულია დიდი და მცირე ქედების ტექტონიკურ მოღუნულობათა განშტოებაზე. ხასიათდება რთული ოროგრაფიით, ზღვის დონიდან სიმაღლეთა ძლიერი ცვალებადობით, რაც გავლენას ახდენს კლიმატური პირობების ფორმირებაზე.
ბ) თბილისის ეროვნული პარკი ზომიერად ტენიანი ჰავის ოლქს მიეკუთვნება. აქ ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი ზაფხული იცის. პარკი გადაჭიმულია ქართლის ვაკეზე, რომლის მწვერვალზეც კასპიის ზღვიდან წამოსული ღრუბლები ნალექებად იქცევა და მაღალი ტენიანობით უზრუნველყოფს საგურამოს ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს. ეროვნული პარკში აშკარად გამოხატულია მიკრო კლიმატის 2 ფორმა:
ბ.ა) სამხრეთ ფერდობები, რომელიც ხასიათდება ნალექების სიმცირით, ხშირი ქარებით, ზაფხულში მაღალი ტემპერატურით;
ბ.ბ) ჩრდილოეთ ფერდობები, გამოირჩევა ნალექების სიუხვით, მეტად სუსტი დასავლეთის ქარებით, ზამთრის პერიოდში თოვლის მაღალი საფარით.
2. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გაზაფხული ადრე დგება, ზაფხული ხანგრძლივია და საკმაოდ ცხელი. ჰაერის საშუალო ტემპერატურის მონაცემებით მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდი იწყება აპრილის თვეში და გრძელდება ოქტომბრის ბოლომდე.
3. ყველაზე ცივი თვე იანვარია, ყველაზე ცხელი კი ივლისი-აგვისტო. უარყოფითი კლიმატური ფაქტორებიდან აღსანიშნავია გვიანი და ადრეული ყინვების არსებობა. შემოდგომის ნალექები სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან იწყება. პირველი თოვლი დეკემბრის მეორე დეკადაში მოდის და საგურამოს ქედის ჩრდილო ფერდობებზე მარტის შუა რიცხვებამდე გამუდმებით დევს აღნიშნულ პერიოდში. ყველაზე ცივი თვეებია დეკემბერი და იანვარი (-2^{0}C -4^{0}C), გვალვით და

მაღალი ტემპერატურით (28^{0}C – 29^{0}C) ივლისი და აგვისტო გამოირჩევა. საშუალო წლიური ტემპერატურაა: იანვარი -0,5^{0}C და აგვისტო +24,1^{0}C.
4. ეროვნული პარკის ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 69,71 %-ია, ნალექები წლის დროთა მიხედვით არათანაბარია. წლიური ნალექების რაოდენობა საშუალოდ 523-720 მმ-ს შეადგენს. მეტად ნალექიანი თვეებია: იანვარი, მაისი, ოქტომბერი. ყველაზე ნაკლები ნალექი მოდის ზაფხულის პერიოდზე, ყველაზე მეტი კი გაზაფხულზე. ასევე არათანაბარია თოვლის საფარიც. მისი სიღრმე მთისწინეთიდან თანდათან იზრდება თხემისაკენ და ღულელების და ცხვარიჭამიის უღელტეხილზე 1 მეტრსაც კი აღწევს. ნისლიანი დღეების რაოდენობა 20-50 დღის ტოლფასია. ელჭექიან დღეთა რაოდენობა კი წელიწადში მაქსიმუმ 50 დღეა.
5. რაიონისათვის ძირითადად დამახასიათებელია ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები. ცალკეულ პერიოდებში ქრის სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის ქარები. ქარიანი დღეების რაოდენობა წელიწადში 40-60 დღეს აღწევს. ქარის საშუალო სიჩქარე წელიწადში 4მ/წ-ის ტოლია.
6. გარდაბნის აღკვეთილის კლიმატი ხასიათდება მშრალი კონტინენტალური ჰავით, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცივი ზამთარი, ცხელი ზაფხული და ნალექების შედარებით მცირე რაოდენობა. ყველაზე მეტი ნალექი მოდის გაზაფხულზე, ყველაზე მცირე კი ზამთარში. კლიმატური ფაქტორებიდან ყურადსაღებია ადრეული და გვიანი ყინვები. ადრეული ყინვები მოსალოდნელია ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში, გვიან ყინვებს კი ადგილი აქვს აპრილის დასაწყისში. ნალექების წლიური რაოდენობა 400მმ -ს შეადგენს. არიდულობის ინდექსი 0,3-0,5 ტოლია.
7. ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლი დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, მოქცეულია ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში, სადაც ჰავა ზომიერად ნოტიოა. ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივად თბილი ზაფხულით.

მუხლი 16. კლიმატის ცვლილება

1. დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების შემცირებასა და ადაპტაციაში. კარგად მართული დაცული ტერიტორია უზრუნველყოფს იქ არსებული ჰაბიტატების დაცვას, მიწათსარგებლობის ცვლილების პრევენციას და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენას, რაც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას. დაცული ტერიტორიები ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ეკოსისტემურ სერვისებს და ზრდიან კლიმატის ცვილებისადმი მედგრობას. თუმცა, კლიმატის ცვლილება, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს თვითონ დაცულ ტერიტორიებზეც. ამის გამო ბევრმა დაცულმა ტერიტორიამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს თავისი ფუნქცია – დაიცვას ძირითადი სახეობები და მათი ჰაბიტატები.
2. კლიმატის ცვლილების სცენარის მიხედვით 2041–2070 და 2071–2100 წლებში საბაზისო პერიოდთან (1971–2000) მიმართებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია ტემპერატურული დათბობა. ეს ცვლილება მეტ-ნაკლებად ზეგავლენას იქონიებს საქართველოს დაცული ტერიტორიების ყველა ეკოსისტემაზე, თუმცა ყველაზე სწრაფი და მკვეთრი ცვლილებები მაღალ მთაშია მოსალოდნელი, როგორც ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ ბიომში.
3. კლიმატის ცვლილებასთან ერთად სავარაუდოა ბუნებრივი კატასტროფების გააქტიურებაც. ბოლო წლებში, დაცულ ტერიტორიებზე, ისევე როგორც მთელ საქართველოში, გაზრდილია ბუნებრივი კატასტროფების მაჩვენებელი.

მუხლი 17. მიწათსაკუთრება და მიწათსარგებლობა

1. თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლის ტერიტორიები განეკუთვნება სახელმწიფო ტყეს, რომელიც ამავდროულად სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, მათ მართვაზე პასუხისმგებელია სააგენტო და ადმინისტრაცია.
2. თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის ბუნების ძეგლის ტერიტორიებზე მიწათსარგებლობის ფორმები რეგულირდება ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს“ კანონის მე-12 მუხლისა და 2022 წლის 10

მაისის საქართველოს მთავრობის №235 დადგენილების „დაცული ტერიტორიების უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემისა და სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ შესაბამისად.
3. ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიის ნაწილზე, გაცემულია სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია 2012 წელს 49 წლის ვადით, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, შპს „მეიდან ჯგუფს“ სამონადირეო მეურნეობა მოწყობილი აქვს 3079,4 ჰა ფართობზე.

მუხლი 18. ტრადიციული საქმიანობა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

1. თბილისის ეროვნული პარკის დაარსებამდე მრავალი წლის განმავლობაში, დაცული ტერიტორიების ტყის მასივები ადგილობრივი მოსახლეობისათვის წარმოადგენდა მერქნული რესურსით (სამასალე და სათბობი შეშა) სარგებლობის წყაროს. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებულ სოფლებში მოსახლეობა ჯერ კიდევ დამოკიდებულია შეშაზე, როგორც სათბობად, ასევე საჭმლის მოსამზადებლად.
2. ეროვნული პარკის ტერიტორიის დაახლოებით 65% დაფარულია ნაკლებად სახეცვლილი ტყეებითა და ბუჩქნარით, სადაც ჭრები მხოლოდ დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა. დანარჩენ ადგილებში ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებული საქმიანობები ხორციელდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ინტენსივობით.
3. ეროვნული პარკის დაარსებამდე (გარდა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ტყეებისა) ხე-ტყის დამზადებას ძირითადად სამრეწველო ხასიათი ჰქონდა, ხოლო პარკის დაარსების შემდეგ შეშის დამზადება ხდება მიმდებარე სოფლების მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხე-ტყის ჭრა ძირითადად ხდებოდა სპეციალურად გაყვანილი სამანქანე და სატრაქტორო გზების მიმდებარედ (100-150 მ ზოლში გზის თითოეულ მხარეს). ხშირად ადგილი ჰქონდა ჭრის წესების დარღვევის ფაქტებს. ჭრები ინტენსიურად ხორციელდებოდა გავაკებულ ტერიტორიებზე. სიტუაცია უკანასკნელი წლების მანძილზე რადიკალურად გაუმჯობესდა: ადმინისტრაციამ აღკვეთა უკანონო ჭრები და შეამცირა ტყეკაფების გამოყოფა პარკის ტერიტორიაზე. მომიჯნავე სოფლების მოსახლეობის შეშაზე მოთხოვნის კლების გამო სიტუაცია უმჯობესდება.
4. ხელსაყრელი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ტყეების განახლება მეტწილად დამაკმაყოფილებელია. არის ადგილები, სადაც ჭრაგავლილი ტერიტორიები დაფარულია მაყვლით, გვიმრითა და სხვა მაღალბალახეულობითა და ბუჩქნარებით. ჭრაგავლილ ტერიტორიებზე ნიადაგის ეროზიული პროცესები არ აღინიშნება.
5. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში და ცალკეულ შემთხვევებში ვიზიტორთა ზონაში დაშვებულია ზოგიერთი განახლებადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, როგორიცაა ადგილობრივი თემების უზრუნველყოფა საშეშე მერქნის ლიმიტირებული რაოდენობით, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება, მათ შორის: კაკალნაყოფები, კენკრა, სოკო და სხვა საკვები მცენარეების ნაყოფი, აგრეთვე ეროვნულ პარკში არსებული წყაროებიდან სასმელი წყლის რესურსებით სარგებლობა (დანართი №7). თბილისის ეროვნული პარკი მდიდარია საჭმელად ვარგისი სოკოებით, რომელთაგან აღსანიშნავია: კალმახა სოკო (*Pleurotus ostreatus*), მაჩალო (*Pleurotus cornucopiae*) და ძერანა სოკო (*Cerioporus squamosus*) მიწის სოკოებიდან აღსანიშნავია ტყის ქამა (*Agaricus silvaticus*), წერეწო (Macrolepiota *procera*), მანჭკვალა (*Armillaria mellea*), დუმა სოკო (*Suillus* granulatus), არყა (*Lactarius piperatus*), ძირბუკა (*Boletus edulis*) მიქლიო (*Cantharellus cibarius*) და სხვა.
6. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს ფიჩხით, საკვები სოკოებიდან შემოდგომის პერიოდში ტრადიციულად აგროვებენ მანჭკვალა სოკოს, გაზაფხულზე კრეფენ მხალეულს ძირითადად ჭინჭარსა და ეკალღიჭს. სეზონურად შემოდგომის პერიოდში სუროს (ფათალოს) ყვავილობის პერიოდში მისდევენ მეფუტკრეობას. მეფუტკრეების გარკვეული ნაწილი საფუტკრეებს განალაგებენ გარდაბნის აღკვეთილის მოსაზღვრედ არსებულ მიმდებარე ტერიტორიებზე, საიდანაც ფუტკარი გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიიდან

საკვებსა და თაფლს აგროვებს.

მუხლი 19. სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს იმ ეკოსისტემური სერვისებით, რასაც დაცული ტერიტორიები სთავაზობს, მათ შორის:

1. დაცული ტერიტორიის კატეგორია – ეროვნული პარკი, ეკოტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ბაზაა, ხელს უწყობს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას, რაც წარმოშობს ადგილობრივი საოჯახო ტიპის სასტუმროებისა და კვების ობიექტების, საცხენოსნო ტურების, სამთო ველოსიპედების, ტურისტული გიდების, ადგილობრივად დამზადებული პროდუქციისა და სხვა ტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობას.
2. ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფილია საშეშე მერქნით.
3. მნიშვნელოვანია აგრეთვე ეროვნულ პარკში არსებული წყაროებიდან ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა; თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია დაახლოებით 50-მდე სასმელი წყლის სათავე ნაგებობა.
4. ეროვნული პარკის ტერიტორია აგრეთვე გამოიყენება სხვადასხვა არამერქნული ტყის ნობათის/პროდუქტების შეგროვებისთვის, როგორიც არის კაკლოვანი მცენარეების ნაყოფი, სამკურნალო მცენარეები, სოკო და სხვა.

მუხლი 20. ეკოსაგანმანათლებლო პოტენციალი

1. დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვანი ბაზაა საქართველოში ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისთვის, მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისთვის გარემოსდაცვითი განათლების, საველე გაკვეთილების ჩატარების, ბუნებაში ქცევის წესების სწავლებისა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის.
2. ეროვნული პარკი შესაძლებლობას იძლევა (კანონმდებლობით დადგენილი წესების ფარგლებში) მცენარეთა და ცხოველთა კვლევებისთვის, სასკოლო და სტუდენტური საველე პრაქტიკისთვის.
3. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს ეკოსაგანმანათლებლო მიმართულებით, ძირითადად, მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან.
4. ადმინისტრაცია ატარებს სხვადასხვა ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებას სხვადსხვა სამიზნე ჯგუფისთვის.

მუხლი 21. სამეცნიერო მნიშვნელობა და პოტენციალი

1. დაცული ტერიტორიები წარმოადგენს სამეცნიერო კვლევებისა და მონიტორინგისათვის მნიშვნელოვან და მიმზიდველ ადგილს, განსაკუთრებით კი მისი ფლორისა და ფაუნის თვალსაზრისით.
2. თბილისის ეროვნულ პარკს დიდი პოტენციალი აქვს გეობოტანიკური, ეკოლოგიური და მცენარეთა სახეობების, ასევე გეოგრაფიული, გეოლოგიური, არქეოლოგიური, კულტურული, სატყეო და სხვა კვლევების თვალსაზრისითაც.
3. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებები და მკვლევრები აქტიურად თანამშრომლობენ სააგენტოსა და ადმინისტრაციასთან.
4. ადმინისტრაცია თანამშრომლობს სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციასა და უნივერსიტეტთან, მათ შორისაა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი და სხვა.

მუხლი 22. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას

ადმინისტრაციისათვის. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას და ცნობიერებას დაცული ტერიტორიებისა და იქ მიმდინარე პროცესების შესახებ, რაც განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების განვითარებაში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტურობას.
2. სააგენტო და თბილისის ეროვნული პარკი საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ხერხს იყენებს, როგორიცაა: სააგენტოს და ეროვნული პარკების ვებგვერდი, სოციალური მედია, როგორიცაა: Facebook, Youtube, საინფორმაციო ბროშურებისა და ბუკლეტების ბეჭდვა და გავრცელება, ეროვნულ პარკზე სტატიების გამოქვეყნება ადგილობრივი და ცენტრალური ბეჭდური მედიის საშუალებით. ასევე ინფორმაციის განთავსება როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებში, ღონისძიებების გაშუქება ადგილობრივი და ცენტრალური ტელევიზიებით, ეროვნულ პარკზე ინფორმაციის განთავსება საქართველოზე არსებულ სხვადასხვა გზამკვლევში (Bradt Travel Guidebook, Lonely Planet, Walking in the Caucasus და სხვა), ეროვნული პარკის შესახებ თემატური ფილმებისა და ვიდეო რგოლების მომზადება. სარეკლამო რგოლების მომზადება და რეკლამირება ცენტრალური ტელევიზიების მეშვეობით. ტურისტულ ბაზრობებში მონაწილეობა, შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, გაცნობითი ტურების მოწყობა მედიის, სასწავლო დაწესებულებების და ტურ-ოპერატორებისათვის, თანამშრომლობა სასწავლო დაწესებულებებთან, თანამშრომლობა რეგიონში არსებულ პარტნიორებთან, სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა.

მუხლი 23. ეკოტურისტული და რეკრეაციული პოტენციალი

1. თბილისის ეროვნულ პარკში ველური ბუნების, მთის და ტყის ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ერთობლიობა იზიდავს სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორს.
2. თბილისის ეროვნულ პარკს აქვს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის განვითარების პოტენციალი, მათ შორის საფეხმავლო, საგანმანათლებლო, ველო, სათავგადასავლო და კულტურული ტურების განვითარების შესაძლებლობა.
3. თბილისის ეროვნულ პარკს აქვს კარგი ადგილმდებარეობა, მარტივად მიღწევადია თბილისიდან და მცხეთიდან, გამოირჩევა მიმზიდველი ხედებით, პარკის სიახლოვეს მდებარე ტურისტული ობიექტებით – ქ. მცხეთა, ჯვრის მონასტერი, ზედაზნის მონასტერი და სხვა.
4. ტერიტორიას გააჩნია მაღალი პოტენციალი, ვიზიტორებისა და თბილისის მცხოვრებლებისთვის წარმოადგენდეს შაბათ-კვირის დასვენების და რეკრეაციის ადგილს.

მუხლი 24. ისტორიულ-კულტურული ღირებულება

1. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია მდიდარია კულტურული და არქეოლოგიური ძეგლებით. აქ მრავლად გვხვდება კულტურული მემკვიდრეობის და მისი ღირებული მახასიათებლების მქონე არქიტექტურული და არქეოლოგიური ობიექტები, მათ შორის: უძველესი ნამოსახლარების, ეკლესია-მონასტრების, ციხე-სიმაგრეების ნანგრევები და არქეოლოგიური არტეფაქტები.
2. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია არაერთი მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მათ შორის:
ა) ზედაზნის სამონასტრო კომპლექსი – მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მოიცავს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიას (VIII ს), ციხე-გალავანს, სენაკებს (მე-17 ს) და სხვა ნაგებობებს;
ბ) მამკოდის მამათა მონასტრის კომპლექსი, წმინდა გიორგის ეკლესია (მე-17 ს) – მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მამკოდაში;
გ) მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი (შუა საუკუნეები) – მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ნორიოში.

3. თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოდგენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური და კულტურული ძეგლები. თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარედ საქართველოს პირველი დედაქალაქი მცხეთა მდებარეობს, აქვეა მეექვსე საუკუნის ქართული არქიტექტურის შედევრი მცხეთის ჯვარი, რომლიდანაც ქალაქ მცხეთაზე და მთელ გარემოზე არაჩვეულებრივი ხედები იშლება, მათ შორის მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ბაგინეთის ქედზე წარმოებული გათხრებიც მოჩანს, რომელიც არმაზის პიტიახშთა (მცხეთის გამგებელთა) სასახლის, ანტიკური აბანოების და წარმართული კერპების ნაშთებს წარმოადგენს.
4. მცხეთასა და მის უშუალო შემოგარენში არაერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლია, რომლებიც UNESCO-ს დაცვის ქვეშ იმყოფება. ესენია: XI საუკუნის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, იმავე პერიოდის სამთავროს ეკლესია, VI საუკუნის სამონასტრო კომპლექსი ჯვარი. მთლიანად მცხეთა პატარა ქალაქ-მუზეუმს წარმოადგენს და ყოველდღიურად არაერთ ქართველ თუ უცხოელ დამთვალიერებელს მასპინძლობს.
5. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებთან დაკავშირებით ინფორმაცია ვრცლად მოცემულია დანართ №11-ში (იხ. დანართი №11).

მუხლი 25. ეკოსისტემური სერვისები

1. კანონმდებლობით განსაზღვრულია ეკოლოგიური მომსახურების სახეები ანუ ეკოსისტემური სერვისები, სადაც:
ა) **ეკოსისტემური სერვისები –** ადამიანთა კეთილდღეობის საქმეში ეკოსისტემების მიერ შეტანილი პირდაპირი და არაპირდაპირი წვლილი, იყოფა ოთხ კატეგორიად: უზრუნველმყოფი, მარეგულირებელი, ჰაბიტატის ანუ დამხმარე და კულტურული:
ა.ა) **უზრუნველმყოფი სერვისები** მოიცავს იმ პროდუქტებს, რომლებსაც უშუალოდ ეკოსისტემა გვთავაზობს. კონკრეტულად, ესაა ისეთი ბუნებრივი პროდუქტები, როგორებიცაა ველური ხილი, თხილი, კენკრა, სოკო, საკვები ბალახეული და სხვა მცენარეული პროდუქტი, რაც სოფლის მოსახლეობის არსებობისა და კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წყაროა. უზრუნველმყოფ სერვისებს განეკუთვნება საშეშე და სამასალე მერქანი, საკვებად გამოყენებული ფაუნის სახეობები, თევზის ჩათვლით, წყალი, როგორც ენერგორესურსი, სასმელი და სარწყავი წყალი და ა.შ;
ა.ბ) **მარეგულირებელი სერვისებ**ი გულისხმობს სარგებელს, რომელიც მიიღება ორგანიზმსა და გარემოს შორის მიმდინარე ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების რეგულირების შედეგად. მაგალითად, საქართველოში ტყის ეკოსისტემები გადამწყვეტ როლს ასრულებს ნიადაგის სტაბილიზაციაში, აგრეთვე ისეთი საშიში ბუნებრივი მოვლენების პრევენციასა და შესუსტებაში, როგორებიცაა მეწყერი, ნიადაგის ჩამოშლა, წყალდიდობა და სხვ.
ა.გ) **ჰაბიტატის/დამხმარე სერვისები** პირდაპირ არის დაკავშირებული სახეობათა საბინადრო გარემოსთან, ანუ ჰაბიტატთან. ეკოსისტემები ემსახურება სახეობებს, რადგან მათთვის წარმოადგენს თავშესაფარსა და სამიგრაციო გზას. მაგალითად, მდინარე არის თევზის საბინადრო გარემო, ასევე დამაკავშირებელი (სამიგრაციო გზა) მდინარის სხვადასხვა მონაკვეთს, ან სხვადასხვა წყალსატევს შორის (ტბა-მდინარე; მდინარე-ზღვა-მდინარე). დამხმარე სერვისებიდან ადამიანი არ იღებს პირდაპირ სარგებელს. ამ სერვისებიდან პირდაპირ სარგებელს იღებს ველური სახეობები, რომლებიც თავისთავად ეკოსისტემის ნაწილსაც წარმოადგენს;
ა.დ) **კულტურული სერვისები** მოიცავს არამატერიალურ სარგებელს, რომელსაც ადამიანები იღებენ ეკოსისტემებისაგან. მაგალითად, კულტურული სერვისების სახეობაა ტურიზმი, განსაკუთრებით, ეკოტურიზმი.
აღნიშნული ეკოსერვისებიდან, თბილისის დაცულ ტერიტორიებს თავისი წვლილი შეაქვს ეკოსისტემური სერვისების მომსახურების მხრივ, კერძოდ:
2. უზრუნველმყოფი სერვისები მოიცავს იმ პროდუქტებს, რომლებსაც უშუალოდ ეკოსისტემა გვთავაზობს. თბილისის ეროვნული პარკის მთელი ტერიტორიიდან მისი ტყეების თაფლმსხმოიარობის გამო, ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც საფუტკრეები

განთავსებული აქვთ თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე, ფუტკრები აგროვებენ ნექტარს თბილისის ეროვნული პარკის ტყეებში არსებული ყვალილებიდან და ისინი, ერთი მხრივ, ხელს უწყობენ ტყეების გენეტიკური მდგრადობის შენარჩუნებასა და თესლმსხმოიარობის გაზრდას, მეორე მხრივ კი ადგილობრივ მოსახლეობას აწვდიან საუკეთესო ნუგბარს თაფლის სახით. თბილისის ეროვნული პარკის ტყეების სიღრმეში და ტყისპირებში, ძირითადად ტრადიციული გამოყენების ზონის ფარგლებში, სადაც დაშვებულია ველური ხილის შეგროვება, წარმოდგენილია დიდი რაოდენობით ხილკენკროვანი და კაკალნაყოფიანი ისეთი მერქნიანი მცენარეები, როგორიც არის: პანტა, მაჟალო, ველური კომში, შინდი, ზღმარტლი, წითელი და შავი კუნელი, ტყემალი, კვრინჩხი, ასკილი, მაყვალი, მოცვი, თამელი, ქაცვი, ქართული ნუში, კაკალი, თხილი და სხვა. აღნიშნული ველური ხილითა და კაკალნაყოფიანი ხემცენარეებით აქტიურად სარგებლობს თბილისის ეროვნული პარკის გარშემო მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა და თბილისიდან ჩამოსული მოაგარაკეები. ხისა და მიწის სოკოს შესაგროვებლად აქტიურად სარგებლობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე თბილისელი ვიზიტორები. სოკოს საუკეთესო საბინადრო გარემოს წარმოადგენს თბილისის ეროვნული პარკის ჩრდილოეთ ექსპოზიციაზე და ღრმა ხეობებში წარმოდგენილი დიდხნოვანი წიფლნარი ტყეები. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს საშეშე მერქნით, საკალათე, საწნავი მცენარეებით, მთრილავი და საღებავის შემცვლელი მცენარეებით, სარიტუალო დანიშნულების, საკვებად გამოსაყენებელი, უმად საჭმელი, მხალეული, საკაზმი, სასმელად გამოსაყენებელი, ვიტამინებით მდიდარი და სამკურნალო მცენარეებით.

3. მოსახლეობა წყლის რესურსით სარგებლობს თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან. წყლის აღება ხდება თბილისის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ტყეებიდან, სადაც წარმოდგენილია დაახლოებით 50-მდე წყლის სათავე ნაგებობები. თბილისის ეროვნული პარკის ტყეები არეგულირებენ სასმელი წყლის რესურსების რაოდენობას, უზრუნველყოფენ წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებასა და მთელი წლის განმავლობაში თბილისის ეროვნული პარკის გარშემო მცხოვრებ მოსახლეობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფს წყლის რესურსით.

4. თბილისის ეროვნული პარკის ტყეებში დაგროვილია დიდი რაოდენობით ბიომასა, რომელიც უზრუნველყოფს ნახშირბადის მარაგის შენარჩუნებასა და ჩაჭერას და ჟანგბადის გამოყოფას.

5. თბილისის ეროვნული პარკის ტყეები უდიდეს როლს ასრულებენ ქ. თბილისისა და ქ. მცხეთის საჰაერო აუზის სანიტარიულ-ჰიგიენური და კლიმატური პირობების გაუმჯობესებაში. თბილისის ეროვნული პარკის ტყეები ერთგვარ ბარიერსა და ეკოლოგიურ ფარს წარმოადგენს ქ. თბილისის ჩრდილოეთის მხრიდან შემოსული კონტინენტური და ცივი ჰაერის მასების შეკავების საქმეში.

6. მარეგულირებელი სერვისები (მომსახურეობა). თბილისის ეროვნული პარკის ტყეების ნიადაგები ძირითადად მდებარეობს 21◦ და მეტი დაქანების ფერდობებზე, რაც თბილისის ეროვნული პარკის ტყეების საერთო ფართობის 56% შეადგენს. აღნიშნულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ ტყეებს უდიდესი ნიადაგდაცვითი ფუნქცია გააჩნიათ, სადაც მერქნიანი მცენარეები თავიანთი ფესვთა სისტემით ბადესავით ეკვრიან დიდი დაქანების გამო აქ წარმოდგენილ მოწყვლად ნიადაგებსა და ეფექტურად ებრძვიან ეროზიულ პროცესებს, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს უხვი ნალექების, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დროს. აღნიშნული ტყეები ეფექტურად ახდენენ წყლის ზედაპირული ჩამონადენის სიჩქარის შეჩერებას და უზრუნველყოფენ ნალექების დიდი ნაწილის ნიადაგის სიღრმეში ეტაპობრივ ჩაჟონვას, რითაც ხელს უწყობენ წყლის მარაგის დაგროვებას ნიადაგის სიღრმეში და საშიში ბუნებრივი მოვლენების პრევენციასა და შესუსტებას.

7. თბილისის ეროვნული პარკის ტყეები აკონტროლებენ გარემოს და საბინადრო პირობებს კარნახობენ ცოცხალ ორგანიზმებს, ამიტომ ისინი დამხმარე სერვისებს, თავშესაფარსა და საკვებბაზას წარმოადგენენ ისეთი სახეობის ძუძუმწოვრებისთვის, როგორებიც არიან: შველი, გარეული ღორი, მაჩვი, დათვი, ფოცხვერი, კვერნა, ციყვი, მგელი და სხვა. თბილისის ეროვნული

პარკის ტყეები კეთილშობილი ირმის საბინადრო გარემოსაც წარმოადგენდა, რომლებიც ცალკეული ჯგუფების სახით მრავლად იყო წარმოდგენილი ზედაზნის, ცხვარიჭამიისა და ღულელების ტყეებში.

8. კულტურული სერვისის სახით თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო თვალსაზრისით მრავალი საბუნებისმეტყველო დარგით დაინტერესებული მოსწავლე, სტუდენტი, მეცნიერი და ეკოტურისტი აკვირდება ველურ ბუნებასა და მასში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებს, ათვალირებენ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს. გარდა აღნიშნულისა, ვიზიტორები, რომელთა რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდება, გადაადგილდებიან ეკობილიკებზე, საიდანაც ათვალიერებენ თბილისის ეროვნული პარკის ველურ ბუნებას და სუნთქავენ რეკრეაციული და სატყეო მედიცინის თვალსაზრისით მნიშვნელოვან, თბილისის ეროვნული პარკის ტყეებში ფორმირებულ სუფთა ჰაერს.

თავი III. დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი მიზნები

მუხლი 26. გრძელვადიანი მიზნები

დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის გრძელვადიანი მიზნები აღწერს ძირითადი ღირებულებების (ბიომრავალფეროვნების და სხვა ფასეულობების) იმ მდგომარეობას, რომლის მიღწევასაც სააგენტო და ადმინისტრაცია მიზნად ისახავს მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის განმავლობაში.

მუხლი 27. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიები წარმოადგნეს საქართველოს მდიდარ ბუნებრივ მემკვიდრეობას. დაცული ტერიტორიების ფართობი მის ბინადრებს არსებობისთვის საჭირო და უსაფრთხო გარემოს უქმნის. შენარჩუნებული და უზრუნველყოფილია ჰაბიტატებისა და სახეობების, საქართველოს ,,წითელი ნუსხის“ სახეობების ჩათვლით, გრძელვადიანი კონსერვაცია. ადამიანის საქმიანობის შედეგად დეგრადირებული იშვიათი ეკოსისტემები და ჰაბიტატები აღდგენილია და მიახლოებულია მათ ბუნებრივ მდგომარეობასთან.

მუხლი 28. გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის წარმოადგენს საუკეთესო გარემოს გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებელი საქმიანობების განსახორციელებლად. უზრუნველყოფს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდებას, ცოდნის გაზრდას, ბუნებაში ქცევის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ეს კი ხელს უწყობს საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას დაცული ტერიტორიების მიმართ.

მუხლი 29. სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიები სამეცნიერო სექტორისთვის კვლევების განხორციელებისთვის საუკეთესო გარემოს წარმოადგენს, როგორც ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, ასევე საკონსერვაციო საქმიანობების განსახორციელებლად. დაცული ტერიტორიების ბიომონიტორინგი და სამეცნიერო კვლევები უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებას, საჭიროების შემთხვევაში კი აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას.

მუხლი 30. ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

თბილისის ეროვნული პარკი მაღალი ხარისხის ეკოტურისტულ მომსახურებას სთავაზობს ვიზიტორს, რაც ჰარმონიაშია ველური ბუნების დაცვასა და მდგრად განვითარებასთან. ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების განვითარებას

და კონსერვაციული ამოცანების განხორციელებას, ქმნის შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

მუხლი 31. ტრადიციული საქმიანობის ხელშეწყობასთან და თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნებასთან დაკავშირებული მიზნები

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა ინარჩუნებს ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც დაცული ტერიტორიების ხელშეწყობით ინტეგრირებულია ეკოტურისტულ მომსახურებებში და პოპულარულია დაცული ტერიტორიისა და რეგიონის ვიზიტორებს შორის.

მუხლი 32. ბუნებრივი რესურსების მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული მიზნები

ადგილობრივი მოსახლეობა აცნობიერებს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობას. დაცული ტერიტორიები ხელს უწყობს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სოციო-ეკონომიკურ კეთილდღეობას და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობას. დაცული ტერიტორიების არსებობა ქმნის შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს, რაც ამცირებს ტრადიციული რესურსებით სარგებლობის საჭიროებას.

თბილისის ეროვნულ პარკს აქვს დიდი რესურსი ტყის არამერქნული რესურსებით თვალსაზრისით. მით უმეტეს აღსანიშნავია ეროვნული პარკის ადგილმდებარეობა და მის მიმდებარედ დასახლებული პუნქტების სიჭარბე. ადგილობრივი მოსახლეობის არამერქნული რესურსებით მდგრადი სარგებლობა დადებითად აისახება მათ სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მუხლი 33. დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაძლიერებასთან დაკავშირებული მიზნები

თბილისის ეროვნულ პარკს მართავს შესაბამისი ადმინისტრაცია, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური და ტექნიკური საშუალებებით და დაკომპლექტებულია შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობით.

თავი IV. სიტუაციური ანალიზი

მუხლი 34. დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების არსებული მდგომარეობა

1. სიტუაციური ანალიზის მომზადების ეტაპზე მოხდა არსებული ინფორმაციის შეგროვება და ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულების მდგომარეობის შეფასება.

თბილისის ეროვნული პარკის ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები:	**არსებული მდგომარეობა**
ფოთლოვანი ტყე, მათ შორის:	თბილისის ეროვნული პარკის ტყეები ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით დიდხნოვან ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ტყეებს უჭირავს (მომწიფარი, მწიფე და გადაბერებული) 4871ჰა, რაც მთელი ტერიტორიის 23,7 %-ია. მთელი კორომების 99% 20293 ჰა ფოთლოვანი ტყით არის წარმოდგენილი. კორომების საშუალო სიხშირე 0,53 %-ია,
წიფლის ტყე	წიფლის ტყე – 12447,6 ჰა. წიფლის ტყე 12447,6 ჰა-ზე, სადაც წიფელთან ერთად გვხვდება: რცხილა, მუხა, ცაცხვი, იფანი, ქორაფი, მინდვრის ნეკერჩხალი, ბოყვი და სხვა.

მუხის ტყე	მუხის ტყე 4181,8 ჰა-ზე. მუხასთან ერთად გვხვდება: რცხილა, წიფელი, იფანი, ჯაგრცხილა პანტა, მაჟალო და სხვა.
რცხილის ტყე	რცხილის ტყე 2638,6 ჰა, სადაც რცხილასთან ერთად გვხვდება: მუხა, წიფელი, იფანი, ჯაგრცხილა, პანტა, მაჟალო და სხვა.
იფნის ტყე	იფნის ტყე 472ჰა-ზე, სადაც იფანთან ერთად გვხვდება: მუხა, წიფელი, რცხილა, პანტა, მაჟალო და სხვა.
წიფლნარი კოლხური ფლორის ელემენტებით წარმოდგენილია ჭყორის ქვეტყით წარმოდგენილი წიფლის ტყეები	კოლხური ფლორის ელემენტებით წარმოდგენილი წიფლის ტყეები 1634 ჰა, მათ შორის მნიშვნელოვანია (მომწიფარი, მწიფე და გადაბერებული)
მერქნიან მცენარეთა იშვიათი თანასაზოგადოება	მუხნარი ჭყორის საფარით 10,5 ჰა. წიფლნარი მაღალი მოცვის საფარით 74.5 ჰა. წიფლნარი სუროს საფარით 30,5 ჰა, რცხილა-მოცვის საფარით -7,7 ჰა-ზე, რცხილა სუროს საფარით -4,5 ჰა-ზე, პანტის ტყე 48,4 ჰა-ზე, მაჟალოს ტყე 5,8 ჰა-ზე, 81,5 ჰა-ზე ნეკერჩხლის ტყე. საქართველოს წითელი ნუსხის მერქნიანი მცენარეებით გაბატონებული ქიქოძის ტირიფითა და პატარა თელადუმით წარმოდგენილი ტყე.
ენდემური და საფრთხის ქვეშ მყოფი ფლორის სახეობები	კოლხური ბზა *(Buxus colchica Pojark)* თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი, ზოგიერთ მონაკვეთზე დაზიანებულია ენტომო და ფიტო დაავადებებით. ჭყორი *(Ilex colchica Pojark.)* იშვიათობას წარმოადგენს, როგორც კოლხური ფლორის ელემენტი.
ღია ლანდშაფტები – საძოვარი, ველობი, ყალთაღი, მინდორი	საძოვარი, ველობი, ყალთაღი, მინდორი სულ 221 ჰაზე, რაც მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 1,05 %-ტერიტორიაზეა წარმოდგენილი.
მდინარეები, ნაკადულები, ტბორები, ჭაობები	მდინარეები, ნაკადულები, ტბორები, ჭაობები – სულ 37 ჰექტარზე. მდინარეებში წარმოდგენილია: კალმახი, მურწა, ნაფოტა, წვერა და სხვა. არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია თევზების რაოდენობის შესახებ
საფრთხის ქვეშ მყოფი მტაცებლები მურა დათვი *(Ursus arctos);* ფოცხვერი *(Lynx lynx).*	არსებული მდგომარეობის შესახებ მწირი ინფორმაციაა. ადმინისტრაციის 2022 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თბილისის ეროვნულ პარკში ფიქსირდება 3 ფოცხვერი და 1 მურა დათვი.
ევროპული შველი – (*Capreolus capreolus*)	ადმინისტრაციის 2022 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თბილისის ეროვნულ პარკში დაახლოებით 400 შველი ფიქსირდება.
კეთილშობილი ირემი – *(Cervus elaphus)*	არსებული მდგომარეობის შესახებ არსებობს ინფორმაცია, რომ საგურამოს ნაკრძალში, ცხვარიჭამიისა და საბადურის ტყეებში წარმოდგენილი იყო კეთილშობილი ირმის ცალკეული ჯგუფები, ხოლო ისტორიულ წარსულში მოხსენიებულია, რომ იალნოს გორაზე ასურელ მამას, ანტონ მარტყოფელს, ირმების ჯოგი ჰყავდა მოშინაურებული.

ღია ლანდშაფტები – საძოვარი, ველობი, ყალთაღი, მინდორი ხასიათდება ველური ხილისა და ბალახეულის მრავალფეროვნებით და წარმოადგენს ჩლიქოსანი ცხოველებისა და ფრინველების მნიშვნელოვან ჰაბიტატს	არსებული მდგომარეობის მიხედვით მიმდინარეობს აღნიშნული ლანდშაფტების ინტენსიური ბუნებრივი გატყევება ჩლიქოსანი ცხოველების სიმცირის გამო.
გარდაბნის აღკვეთილის ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულება	არსებული მდგომარეობა
საქართველოში მტკვრის ხეობაში არსებული ყველაზე მასშტაბური ჭალის ტყე	არ არსებობს განახლებული ინფორმაცია ტყეების ინვენტარიზაციის შესახებ
საფრთხის ქვეშ არსებული სახეობიდან აღსანიშნავია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ჭალის მუხა *(Quercus pedunculiflora)*	არ არსებობს განახლებული ინფორმაცია ტყეების ინვენტარიზაციის შესახებ
კეთილშობილი ირემი *(Cervus elaphus)*	არსებულის რაოდენობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია
წავი *(Lutra lutra)*	არსებულის რაოდენობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია

2. სხვა ღირებულებების მდგომარეობა: დაცული ტერიტორიების სხვა ღირებულებები უშუალოდ ეკოსისტემის სერვისებზეა დამოკიდებული (ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო, ეკოტურისტული და საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები). მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების გეოლოგიური ფასეულობები, ისტორიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ღირებულებები.

მუხლი 35. დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების საფრთხეები

დაცული ტერიტორიების სამიზნე ღირებულებების საფრთხეები:

საფრთხე თბილისის ეროვნულ პარკში	შეფასება და დაზიანებული ძირითადი ღირებულებები
უკანონო ნადირობა;	თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიები მჭიდროდ არის დასახლებული, რის გამოც არსებობს მურა დათვსა და შველზე უკანონო ნადირობის რისკი. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე, რომლის დიდი ნაწილიც გაცემულია სამონადირეო მეურნეობაზე, არსებობს უკანონო ნადირობის რისკი კეთილშობილ ირემზე.
ხე-ტყის უკანონო ჭრა	წიფლის, მუხისა და რცხილის ტყეები. თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიები მჭიდროდ არის დასახლებული, რის გამოც არის ხე-ტყის უკანონო ჭრის რისკი.
წყლის რესურსების შემცირება	ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის მიზნით მოწყობილია სათავე ნაგებობები და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს წყლის რესურსების შემცირებასა და ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფით ზეგავლენასთან.
ღია ლანდშაფტების შემცირება (საძოვარი, მდელო, ველობი ყალთაღი) ტყეების გაფართოების ხარჯზე.	ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შემცირებულმა ძოვებამ გამოიწვია ღია ფართობების გატყიანება. ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენა, ფლორისტური მრავალფეროვნების კარგვა, ფაუნის წარმომადგენლებისთვის ნაყოფიერი ჰაბიტატების კარგვა.
ვიზიტორთა ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე	ვიზიტორთა ქაოსური გადაადგილება, უარყოფითი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე.

სამანქანე გზები	ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია სამანქანე გრუნტის გზები, რომლებიც ძირითადად წარსულში არის გაკეთებული. ჰაბიტატების ფრაგმენტაცია, უარყოფითი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე.
ტყის და მდელოს ხანძრები	ფიჭვის ხელოვნური ტყეები, მუხისა და რცხილის ტყეები, წიფლის ტყეები სამხრეთ ექსპოზიციებზე.
ტერიტორიის დაბინძურება.	ეროვნული პარკის ტერიტორიის ტყის პირების, გზის პირებისა და ბილიკების დაბინძურება.
წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეცვლა კლიმატის ცვლილებების ფონზე	სასმელი წყლის სათავე ნაგებობებთან წყლის ჩამონადენის შემცირება, მდინარეების დაბინძურება მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემის გამო მდინარეების დაბინძურება სხვადასხვა ნარჩენებით.
სოკოები, მავნებლები	ფიჭვის, მუხის, წიფლისა და ბზის მერქნიანი მცენარეების დაზიანება და ხმობა.
კლიმატის ცვლილება	კოლხური ფლორის ელემენტებით წარმოდგენილი ტყეების შეცვლა ზომიერი სარტყელისა და ნახევრად მშრალი ეკოსისტემებისათვის დამახასიათებელი მცენარეულობით. მერქნიანი მცენარეების იშვიათი თანასაზოგადოების სახის შეცვლა ჩვეულებრივი ტყის კორომებით.
საძოვრების, მინდვრების და ყალთაღების კარგვა	მიმდინარეობს აღნიშნული ფართობების ტყის ძირითადი შემქნელი სახეობებით გადაფარვა, რაც იწვევს ველური ხილისა და ბალახეული მცენარეების შემცირებასა და ნაყოფს მხმოიარობის დაქვეითებას.
საფრთხე გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე	**შეფასება და დაზიანებული ძირითადი ღირებულებები**
ხე-ტყის უკანონო ჭრა	წარსულში, გარდაბნის აღკვეთილის ჭალის ტყეებში მიმდინარეობდა უკანონო ჭრები. მიმდინარე ეტაპზე შეჩერებულია, თუმცა უმნიშვნელოვანესია მათი დაცვა და აღდგენა.
ბრაკონიერობა გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიის გარეთ და სალიცენზიო ნადირობის პერიოდში კეთილშობილი ირმის შეწუხება განსაკუთრებით მყვირალობის პერიოდში	კეთილშობილი ირმის რიცხოვნობის ზრდა
სოკოები, მავნებლები	ჭალის ტყეების მერქნიანი მცენარეების დაზიანება და ხმობა
კლიმატის ცვლილება	მდინარე მტკვრის წყალდიდობების შედეგად გარდაბნის აღკვეთილის სანაპირო ზოლის დაზიანება, გადარეცხვა და ჭალის ტყეების ნაწილის განადგურება
პათოლოგიური მდგომარეობა და მავნებლების არსებობა	თბილისის ეროვნულ პარკში საშიში მავნებელ-დაავადებები, რომლებიც საჭიროებს განხილვასა და ბრძოლის ღონისძიებებს, ესენია: - ფიჭვის დიდი მებაღე – *Tomicus piniperda (Blastophagus piniperda) L.* - ბზის ალურა – *Cydalima perspectalis* ფიჭვის დიდი ლაფნიჭამია (მებაღე) – *Tomicus (=Blastophagus) piniperda L.*, ქერქიჭამიას ეს სახეობა ძირითადად აზიანებს ახალგაზრდა და ხნიერ ფიჭვებს, ფიჭვების ყველაზე მეტი ხმობა დაფიქსირდა გლდანის სატყეო უბანში (მამკოდაში). დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბზის სახეობის მცენარეები ძირითადად ბუჩქების სახით მცირე რაოდენობით, რამდენიმე ჰექტარზე ერთეულის სახით არის

	წარმოდგენილი. გავრცელებულმა ბზის დაავადებამ (ბზის სიდამწვრემ და ბზის ალურამ) გამოიწვია ბზის ბუჩქების დაზიანება და ხმობა.
ტყისა და მდელოს ხანძრები	ჭალის ტყეებისა და მიმდებარე მდელოების დაზიანება

მუხლი 36. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობა

1. თბილისის ეროვნული პარკი გამორჩეული დაცული ტერიტორიაა თავისი ადგილმდებარეობით. ის უშუალოდ ემიჯნება დედაქალაქ თბილისს. ეროვნული პარკის მიმდებარედ გვხვდება მჭიდრო დასახლებები. აღნიშნულმა განაპირობა წარსულში ეროვნული პარკის ტერიტორიის ნაწილზე ანთროპოგენური ჩარევის გარკვეული ფაქტორი. მასშტაბური იყო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა – ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გრუნტის გზების მოწყობა, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნულის მიუხედავად, თბილისის ეროვნული პარკი წარმოადგენს მაღალ კონსერვაციულ არეალს, სადაც შენარჩუნებულია ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობები.
2. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის გაუმჯობესებისთვის და ბუნებრივი რესურსების მდგრადი სარგებლობის მიზნებისთვის 2020 წელს ჩატარდა ტყის ინვენტარიზაცია და მომზადდა ტყის მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 10 წლის ვადით და ძალაშია 2029 წლამდე.
3. ტრადიციულად ხორციელდება სოციალური მიზნით მერქნული რესურსებით სარგებლობა, თუმცა ბოლო წლებში გარკვეულწილად მცირდება რესურსის გამოყენება და მოსახლეობის დიდი ნაწილი საშეშე მერქანს ანაცვლებს ალტერნატიული ენერგიის წყაროებით.

გასული 6. წლის მონაცემები ტყით სარგებლობის კუთხით.

	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ
გაცემული საშეშე მერქნის რაოდენობა (კბ/მ)	1769,92	2069,23	1997	1218,55	1609	1142

4. 2018 წელს დამტკიცებულია გარდაბნის აღკვეთილში შექმნილი სამონადირეო მეურნეობა „მეიდან ჯგუფის“ მართვის გეგმა. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია ტერიტორიის ეკოლოგიური და ბიოლოგიურ-ეკონომიკური ექსპერტიზის პრინციპით და აგებულია ეკოლოგიური, სამართლებრივი და ეკონომიკური პარამეტრების შესწავლის, შეფასების და პროგნოზირების მეთოდებზე დაყრდნობით. დოკუმენტი უზრუნველყოფს გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე, სამონადირეო მეურნეობის მდგრად მართვას. მართვის გეგმა დამტკიცებულია 10 წლის ვადით და 2018 წლიდან 2027 წლამდე გაწერილია შესაბამისი სამოქმედო გეგმები.
5. ადმინისტრაციისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია გარდაბნის აღკვეთილში ირმის პოპულაციის შესწავლა, რაც ხორციელდება როგორც სამონადირეო მეურნეობის თანამშრომლების, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ. გასულ წლებში, ფოტოხაფანგის მიერ არ დაფიქსირებულა ირემი, თუმცა ირმის კვალი სხვადასხვა სახით ფიქსირდება რეინჯერების მიერ.
6. უმნიშვნელოვანესია კვლევა-მონიტორინგი მურა დათვისა და ფოცხვერის სახეობებზე. გასულ წლებში ფოცხვერის რამდენიმე ინდივიდია დაფიქსირებული. ასევე, დათვის მხოლოდ რამდენიმე ინდივიდი გვხვდება ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. კვლევა ძირითადად ხორციელდება ფოტომახეების საშუალებით, ასევე კვალზე დაკვირვების მეთოდით.
7. ხანძრების კუთხით, 2017 წლიდან 2022 წლამდე დაფიქსირდა ხანძრის სამი (3) შემთხვევა. ტყის მართვის გეგმაში წარმოდგენილია ტყის საერთო ფართობების განაწილება ხანძრის

საშიშროების კლასების მიხედვით. დაგეგმილია ძირითადი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
8. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გვხვდება მცირე რაოდენობით ნახევრად ღია და ღია ლანდშაფტები პატარა მდელოების სახით, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩლიქოსანი ცხოველების ძოვებისათვის.
9. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანია ირმის პოპულაციის აღდგენა და შველის მდგრადი პოპულაციის შექმნა.
10. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანია ჭალის ტყეების გაფართოება და მათი ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.
11. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანია კეთილშობილი ირმის რაოდენობის გაზრდა და მდგრადი პოპულაციის აღდგენა.
12. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანია წავის პოპულაციის გაზრდა.

მუხლი 37. ტერიტორიის დაცვა-პატრულირება

1. თბილისის ეროვნულ პარკს ესაზღვრება ქ. თბილისის, მცხეთის, თიანეთის, გარდაბნის მუნიციპალიტეტების მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები, შესაბამისად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა უფრო ინტენსიურია დაცული ტერიტორიების ამ მონაკვეთებზე.
2. თბილისის ეროვნული პარკის ყოფილი საგურამოს ნაკრძალის ტერიტორიები დიდი ხნის განმავლობაში იყო საკონსერვაციო დაცვის ქვეშ. აღნიშნული ტერიტორია, მათ შორის მიწათსარგებლობაზე დაკავშირებული შეზღუდვების ჩათვლით, აღიარებულ იქნა როგორც დაცული ტერიტორია, მის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მიერ (განსხვავებით იმ ტერიტორიებისა, რომლებიც 2007 წელს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან გადაეცა თბილისის ეროვნული პარკს). ეს დამოკიდებულება 1990-იანი წლების პერიოდის შემდგომ შეიცვალა, როდესაც მასშტაბურმა უკანონო ნადირობამ კრიტიკულად შეამცირა ძუძუმწოვართა პოპულაციები, განსაკუთრებით კეთილშობილ ირემს საფრთხე შეუქმნა და გადაშენების პირამდეა მიყვანილი ამ ტერიტორიებზე.
3. თბილისის ეროვნული პარკი მოიცავს ოთხ უბანს: გლდანის, საგურამოს, ღულელების და მარტყოფისა უბნებს, რომელიც 29 სარეინჯეროდაა დაყოფილი.

უბანი	ფართობი (ჰა)	სარეინჯერო
გლდანი	7134	8
საგურამო	6392	10
ღულელები	4994	7
მარტყოფი	2511	4
ჯამი	21031	29

4. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის ფიზიკურ დაცვაზე უფლებამოსილია დაცვის განყოფილება. ადმინისტრაციის დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობს დაცვის განყოფილების უფროსი, რომელიც დაკომპლექტებულია 5 უბნის უფროსი რეინჯერითა და 29 რეინჯერით.
5. ადმინისტრაციაში 2017 წლიდან 2023 წლამდე გამოვლენილია სამართალდარღვევის 110 ფაქტი, საიდანაც 10 ფაქტი წარმოადგენს სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტს. ყველაზე ხშირად გავრცელებულ სამართალდარღვევას წარმოადგენს ხის უკანონო ჭრა, უკანონო თევზაობა და რეჟიმის დარღვევა.
2017-2023 წწ გამოვლენილი სამართალდარღვევები თბილისის ეროვნულ პარკში

თბილისის ეროვნული პარკის სამართალდარღვევები 2017 წ-2023 წ							
წელი	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023

ჯამში გამოვლენილი სამართალდარღვევები	65	15	12	5	4	2	7
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	60	15	8	5	4	2	6
სისხლის სამართლის დანაშაული	5	0	4	0	0	0	1

6. დაცვის განყოფილება აღჭურვილია 12 ავტოსატრანსპორტო საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების უმეტესობა გადაცემულია სხვა ადმინისტრაციების მიერ.
7. ტერიტორიაზე განთავსებულია 2 რეინჯერთა სახლი, ერთი საბადურში და მეორე საგურამოში, ასევე ერთი სამორიგეო ჯიხური.
8. რეინჯერების გარკვეული აღჭურვილობა საჭიროებს შეცვლას ან დამატებითი რაოდენობით შეძენას, მათ შორის, უნიფორმა. დამატებით საჭიროა რეინჯერთა აღჭურვილობის შევსება, ცეცხლსასროლი იარაღი, ბინოკლი, რადიოსაკომუნიკაციო საშუალებები, ფოტოაპარატები და სხვა.
9. პატრულირების ეფექტურობისათვის საჭიროა ავტოპარკის განახლება დაცვის ინფრასტრუქტურის განვითარება (რეინჯერთა თავშესაფრები, ხერგილები და სხვა).
10. საჭიროა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის განახლება, ფოტოხაფანგების შესყიდვა კვლევითი და მონიტორინგის ქმედებებისათვის. ასევე არ არის საველე პირველადი დახმარების კომპლექტი, იარაღები ხის სიმაღლისა და დიამეტრის გასაზომად და გასაზომი ლენტი.

მუხლი 38. ეკოტურიზმი

1. ეკოტურიზმი და ვიზიტორთა მომსახურება:
ა) თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საგურამოში, სადაც შესაძლებელია ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაციის მიღება. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შესვლა უფასოა.
ბ) თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელია საგურამოდან, ზედაზნიდან, მამკოდიდან და საბადურის ტყიდან. საზოგადოებრივი ტრანსპორტი თბილისიდან მოძრაობს როგორც საგურამოს ისე თიანეთის მიმართულებით.
გ) თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის განვითარებული, შესაბამისად, ტურისტული შეთავაზებებიც მწირია. ეროვნულ პარკს ამ ეტაპზე არ გააჩნია ვიზიტორთა ცენტრი. ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე ლოკაციაზეა შესაძლებელი საფეხმავლო ტურების განხორციელება, აქ მრავლადაა მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული ბუნებრივი ლანდშაფტები და ისტორიულ-კულტურული ძეგლები, მათ შორის: ზედაზნის მონასტერი, მამკოდის სამონასტრო კომპლექსი, მამკოდის ღვთაების მონასტერი და ა.შ.
დ) ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებულ გარდაბნის აღკვეთილში არსებულ სამონადირეო მეურნეობას („მეიდან ჯგუფი“) სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების პოტენციალი გააჩნია, სამონადირეო მეურნეობაში ბუნებათსარგებლობის პროცესი მართვადი და რეგულირებადია და ეკოსისტემის კომპონენტების თანაზომიერება, ურთიერთკავშირი და მდგრადი განვითარება უზრუნველყოფილი.
2. თბილისის ეროვნული პარკის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა:
თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდში განხორციელდა მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ: საბადურის ტყეში მოეწყო მცირე ინფრასტრუქტურა, მათ შორის საპიკნიკე, ცეცხლის დასანთები და საინფორმაციო დაფები. მამკოდასა და ზედაზნის დამაკავშირებელი საშუალო სირთულის საფეხმავლო ბილიკი, 2 საპიკნიკე ადგილის (ზედაზნის მონასტრიდან 1.5 კმ-ში და ღარიბთწყაროსთან, თითოეული გათვლილი 10 ადამიანზე) და ცეცხლის დასანთები ადგილები. ტერიტორიაზე მენეჯმენტის

გეგმის მოქმედების პერიოდში განთავსდა 130-მდე სხვადასხვა სახის საინფორმაციო დაფა (120 ამკრძალავი დაფა, ქცევის წესების დაფა, 4 საგზაო დაფა).
3. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ეკოტურიზმის განვითარების და მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელშეწყობით 2022 წელს მომზადდა სხვადასხვა სახის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტები, კერძოდ:
ა) დიდველის, იალნოს და სათიბის ტურისტული თავშესაფრების პროექტები;
ბ) საგურამოს და საბადურის საპიკნიკე ადგილების მოწყობის პროექტები;
გ) ვიზიტორთა და ეკოსაგანმანათლებლო ცენტრის პროექტები (ზედაზენი, საბადური);
დ) 2022 წელს ზედაზენზე დაიწყო პროექტის შესაბამისად ვიზიტორთა ცენტრის მოწყობის სამუშაოები;
ე) თბილისის ეროვნული პარკის ბილიკების მოკვლევის პროექტი (ჯამში სულ მცირე 150 კმ), 2022 წელს დაიწყო საფეხმავლო ბილიკების ქსელის მოწყობის სამუშაოები.
ვ) თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, შანკევანში, მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა: შანკევანი-დარბაზების ბილიკი და საბავშვო გასართობი სივრცე.
4. ტურისტული მოთხოვნის ანალიზი:
ა) ვიზიტორთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ თბილისის ეროვნულ პარკში ვიზიტორთა რაოდენობის თვალსაზრისით წლის ყველა სეზონზე, ერთ-ერთ ყველაზე მონახულებად ლოკაციას საბადურის ტყე და მამკოდა წარმოადგენს, რასაც ეროვნული პარკის ბუნებრივ და კულტურულ ღირებულებებთან ერთად, განაპირობებს ტერიტორიების დედაქალაქთან სიახლოვეც. მამკოდას ტერიტორიას ძირითადად სტუმრობენ მომლოცველობისა და რეკრეაციის მიზნით, ხოლო საბადურის ტყეს უმეტესად რეკრეაციის მიზნით სტუმრობენ.
ბ) ვიზიტორებს შორის ჭარბობენ ადგილობრივი ვიზიტორები. 2023 წლის მონაცემებით კი ვიზიტორთა დაახლოებით 92% საქართველოს, ხოლო 8% სხვა ქვეყნის მოქალაქეა.
გ) თბილისის ეროვნულ პარკში ძირითადად ხორციელდება ერთდღიანი ვიზიტები, ვიზიტორთა უმეტესობას ინდივიდუალურად მოგზაური ვიზიტორები წარმოადგენენ.

თბილისის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა 2017-2023 წწ.							
წარმომავლობა	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.
ქართველი	44027	81885	89104	59955	44520	45370	47150
უცხოელი	7988	15595	13000	1935	1110	2655	3890
სულ	52015	97480	102104	61890	45630	48025	51040

5. გარემოზე ეკოტურიზმის გავლენის მიმოხილვა:
ა) ვიზიტორთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეროვნული პარკი წლის ნებისმიერ სეზონზე მიმზიდველია, ყველაზე მეტი ვიზიტორი კი ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის თვეებშია დაფიქსირებული. უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურ სეზონზე ზოგიერთი ლოკაცია (საბადური, მამკოდა) ვიზიტორთა კონტროლირებულ მართვას საჭიროებს;
ბ) ვიზიტორთა ჭარბი რაოდენობის ერთ ლოკაციაზე კონცენტრირებით, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა საფეხმავლო ბილიკების ურთიერთდაკავშირებული ქსელის ჩამოყალიბება და განვითარება.
6. ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები:
ა) დაცული ტერიტორიის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეზღუდულია, ეროვნულ პარკს არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი;
ბ) ვიზიტორთა ცენტრის არარსებობის გამო ადმინისტრაცია ვიზიტორს ვერ სთავაზობს სრულფასოვან მომსახურებას, მათ შორის სალაშქრო აღჭურვილობის გაქირავებას, ვიზიტორის სრულ ინფორმირებას ვიზიტორთა ქცევის წესების შესახებ. ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს გიდის მომსახურებას;
გ) თბილისის ეროვნულ პარკში ერთფეროვანი შეთავაზებებია წლის განმავლობაში; არ არსებობს მრავალფეროვანი და ინოვაციური შეთავაზებები მიზნობრივი ჯგუფების მოსაზიდად;

დ) არასაკმარისია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, არსებული ბილიკები საჭიროებს განახლებას, არასაკმარისია საგზაო და საფეხმავლო ბილიკების მანიშნებლები, საინფორმაციო დაფები;
ე) არ არსებობს ურთიერთდაკავშირებული ბილიკების ქსელი;
ვ) ტერიტორიაზე არ არის საკმარისი რაოდენობის საპიკნიკე ადგილები და ტურისტული თავშესაფრები;
ზ) თბილისის ეროვნულ პარკს არ გააჩნია ფასიანი ეკოტურისტული სერვისები და შესაბამისად ეკოტურისტული სერვისებიდან შემოსავლები;
თ) თბილისის ეროვნულ პარკს არ გააჩნია ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
ი) მრავალფეროვანი და ინოვაციური შეთავაზებების არარსებობა მიზნობრივი ჯგუფების მოსაზიდად;
კ) ვიზიტორთა რეგისტრაციის პუნქტების გაზრდა ახალი მარშრუტების შემუშავების შემდეგ;
ლ) ბიზნესპარტნიორული თანამშრომლობის გაძლიერება;
მ) არასაკმარისია საინფორმაციო ბროშურების რაოდენობა;
ნ) სუსტია კომუნიკაცია პარკის შესახებ ვებგვერდისა და სხვა სოციალური ქსელების მეშვეობით ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით;
ო) ტუროპერატორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან სუსტია თანამშრომლობა;

მუხლი 39. გარემოსდაცვითი განათლება

1. დაცულ ტერიტორიას გააჩნია ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელების დიდი პოტენციალი.
2. ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ფართო ფენებში ეკოლოგიური ცნობიერების გაზრდას და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობას ბუნებასთან დადებითი დამოკიდებულებისა და ჰარმონიული თანაცხოვრების მიზნით; მოსახლეობის ჩართულობის მაღალი დონე გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრის მიზნით; მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა/თანადგომა დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.
3. ველური ბუნებისა და ეკოსისტემების შესახებ სრული ინფორმაციის გაგებისთვის ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმას. ხაზს უსვამს დაცული ტერიტორიების როლსა და მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმიანობაში. პროგრამა მხარს უჭერს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს გარემოს დაცვის თემატიკით, ასევე მიზნობრივი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას ვიზიტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში.
4. ადმინისტრაცია თანამშრომლობს ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, წლების განმავლობაში იზრდება ეროვნული პარკის მიერ ორგანიზებულ და განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა და საზოგადოების დაინტერესება გარემოსდაცვითი საკითხებით.
5. ყოველწლიურად აქტიურად იმართება ღონისძიებები სკოლებთან, დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონაში სხვადასხვა სახის ეკოლოგიური გამოწვევების თემატიკით, როგორებიცაა, ნარჩენების მართვა, ტყის ხანძრები, ხის უკანონო ჭრა და ნადირობა, ბიომრავალფეროვნების საფრთხეები, ჰაბიტატების კარგვა და ა.შ.
6. ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ეკოსემინარებს, საველე გაკვეთილებს, ეკოთამაშებს, რომელიც გათვლილია სხვადასხვა ასაკობრივ და სამიზნე ჯგუფზე. ასევე ეწყობა პრეზენტაციები, დასუფთავებისა და გამწვანების აქციები, პროგრამა „რეინჯერის ერთი დღე“, აქტივობები ე. წ. ,,მწვანე კალენდრის“ მიხედვით და კვირეულები დაცული ტერიტორიების დღეების აღსანიშნავად.

7. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების სტატისტიკა წლების მიხედვით:

ადმინისტრაცია – ეკოღონისძიებებში მონაწილეთა სტატისტიკა 2016-2023 წწ.								
წელი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ეკოღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა	1940	4433	3667	1362	2126	1060	1857	1048

8. ეკოსაგანმანათლებლო ქმედებების მართვა:

ა) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვაზე უფლებამოსილია ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი. ადმინისტრაციას ჰყავს ერთი შესაბამისი თანამშრომელი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებშიც შედის გარემოსდაცვითი აქტივობების, ეკოპროგრამებისა და ზოგადად ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობების განხორციელება. ველზე აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაში ჩართულნი არიან რეინჯერებიც;

ბ) ქმედებები, რომლებიც უკავშირდება ეკოგანათლებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, თანხმდება და იმართება ცენტრალიზებულად – სააგენტოს უშუალო მონიტორინგის ქვეშ.

9. ეკოგანათლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაძლებლობები:

ა) ეკოგანათლებისა და ინტერპრეტაციის სპეციალისტის არარსებობა;

ბ) არსებული გარემოსდაცვითი პროგრამების დახვეწა და სრულ შეთავაზებად ჩამოყალიბება. სისტემური მუშაობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან;

გ) უფრო აქტიური მუშაობა დაცული ტერიტორიების ვიზიტორებთან;

დ) მჭიდრო კონტაქტი საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან;

ე) ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო საქმეში გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო დონეზე; აუცილებელი ორგანიზაციულ-მატერიალური ბაზის ფორმირება;

ვ) ნორჩი რეინჯერის პროგრამის მიხედვით აქტივობების დანერგვა და განხორციელება სამიზნე ჯგუფების მიხედვით.

ზ) მნიშვნელოვანია ადმინისტრაციას მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიის მიხედვით სპეციალური ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება სხვადასხვა ასაკის მიზნობრივი ჯგუფებისთვის;

თ) რეინჯერთა გადამზადება ეკოგანათლებასა და ინტერპრეტაციაში, მათი აქტიური ჩართვა საინტერპრეტაციო-საგანმანათლებლო საქმიანობებში;

ი) შესაბამისი ფინანსების მოზიდვა და სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ეკოსაგანმანათლებლო ტურების ორგანიზება დაცულ ტერიტორიებზე, ბუნებაში ქცევის შესაბამისი ცოდნის მიღებისა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;

კ) ეკოსაგანმანათლებლო ქმედებების განხორციელება ეროვნულ პარკში, რაც ეფექტური საშუალებაა დაცულ ტერიტორიებზე პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. ეს ამავე დროს შესაბამისობაშია ადმინისტრაციის მიერ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნებსა და პროგრამებთან;

ლ) სპეციალური გარემოსდაცვითი ღონისძიებების ორგანიზება ე.წ. „მწვანე კალენდრის“ მიხედვით, რომელიც დაკავშირებულია ბუნებასა და გარემოს დაცვასთან. საჭიროა არსებული ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა და ქმედებების განხორციელებისათვის სპეციალური კადრების გადამზადება;

მ) სეზონის განმავლობაში (ზაფხული) ეროვნულ პარკს საშუალება აქვს სხვადასხვა ლოკაციაზე მოაწყოს და უმასპინძლოს შემეცნებით ბანაკებს, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი რესურსის მობილიზება, ინფრასტრუქტურის მოწყობა და სპეციალური პროგრამის შემუშავება.

მუხლი 40. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორისა და სხვა თანამშრომლების ჩართულობით. საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკას განსაზღვრავს სააგენტო; საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება შემდეგი რესურსებით: საინფორმაციო მასალებით, დაცული ტერიტორიების ვებგვერდით www.apa.gov.ge; სოციალური ქსელის Facebook-ის მეშვეობით, სააგენტოს გვერდით – Agency of Protected Areas და Youtube;

2. ბოლო წლებში სააგენტო ახორციელებს კომუნიკაციას ორი მიმართულებით: მიმდინარე ადმინისტრაციული და საჯარო ინფორმაციის გავრცელება ზემოთ ჩამოთვლილი პორტალების მეშვეობით, ხოლო მეორე მიმართულება გათვლილია ვიზიტორებზე. ამისათვის სააგენტომ შეიმუშავა ეკოტურისტული ლოგო, რომელიც აერთიანებს ყველა დაცულ ტერიტორიას ეროვნული პარკების ტერმინის ქვეშ. კომუნიკაცია მიმდინარეობს ეროვნული პარკების ვებგვერდით *www.nationalparks.ge* და ასევე სოციალური მედიის მეშვეობით როგორებიცაა: *Facebook. Youtube, Instagram, Twiter https://www.facebook.com/nationalparksofgeorgia/ Youtube, Instagram, Twiter №ational Parks Of Georgia/საქართველოს ეროვნული პარკები ©;*

3. ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობა და მუდმივი კონტაქტი. მჭიდრო კავშირი არსებობს ძირითად მიზნობრივ ჯგუფებთან: მასმედია, ტურ-ოპერატორები, ახალგაზრდები (სტუდენტები, მოსწავლეები).

მუხლი 41. მენეჯმენტი და ადმინისტრაცია

1. ადამიანური რესურსები:

ა) 2023 წლის მდგომარეობით ადმინისტრაციაში დასაქმებულია შტატით 42 თანამშრომელი, მათ შორის: ადმინისტრაციის დირექტორი (1), ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი (I კატეგორია) (1), ადმინისტრაციის ბუღალტერი (1), ვიზიტორთა მომსახურეობის უფროსი სპეციალისტი (ვაკანსია), დაცვის განყოფილების უფროსი (1), ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი (1), ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი (მეტყევე) (1), უბნის უფროსი რეინჯერი (5), რეინჯერი (30) და ასევე შტატგარეშე თანამშრომლები (8).

ბ) 2018 წელს საშტატო ნუსხა გაიზარდა 3 ერთეულით, კერძოდ, დაცვის განყოფილებას დაემატა 3 რეინჯერის შტატი.

გ) ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმეტესობა 5-10 წელზე მეტი ხანია მუშაობს და აქვთ გარკვეული გამოცდილება და პროფესიული კვალიფიკაცია. 2017-2018 წლებში თანამშრომლების გადინებას ჰქონდა მასიური ხასიათი, 2019 წლიდან კი – შედარებით სტაბილური რიცხოვნობა იყო ტერიტორიულ ადმინისტრაციაში.

დ) 2018-2019 წლებში შედარებით ხშირია თანამშრომლების ცვლილება, გარდა დაცვის განყოფილების დონეზე მომხდარი ცვლილებებისა, ასევე ცვლილებები მოხდა ზედა რგოლის მენეჯმენტში – შეიცვალა ადმინისტრაციის დირექტორი და დაცვის განყოფილების უფროსი.

2. თანამშრომელთა კვალიფიკაცია:

ა) თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია და დამტკიცებულია სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით;

ბ) თანამშრომელთა დასაქმება ხდება კონკურსის საფუძველზე. საკონკურსო კომისია წარმოდგენილია სააგენტოს თანამშრომლების მიერ;

გ) თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით არ არსებობს გაწერილი სწავლების პროგრამა, რომელიც სავალდებულო იქნება როგორც ახლად მიღებული თანამშრომლებისათვის, ასევე მოქმედი თანამშრომლებისთვის;

დ) თანამშრომლების ცვლილებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მათი პროფესიული განვითარებაც, რაც გულისხმობს იმას, რომ საჭიროა არსებობდეს გარკვეული პროგრამა, რომლის მიზანიც იქნება ახალი თანამშრომლების გადამზადება;

ე) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი სისტემის დონეზე საჭიროებს დამატებით კვლევას და ძირითადი საჭიროებების გამოვლენას თანამშრომლების გადამზადების კუთხით.
3. ინფრასტრუქტურა:
ა) თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა, მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საგურამოში. შენობა ამორტიზებულია. 2013-14 წლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ეროვნული პარკის ადმინისტრაციას უსასყიდლო უზუფრუქტით გადასცა სოფ. გლდანში და სოფ. მამკოდაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომლებიც ასევე ამორტიზებულია და საჭიროებს მათ დემონტაჟს/ახლით შეცვლას;
ბ) ეროვნული პარკის ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები: ელექტროგადამცემი ხაზები, მიწისქვეშა წყლის გვირაბი, რომელიც ბულაჩაურის წყალსაცავიდან წყალს აწვდის თბილისის წყალსაცავს;
გ) გამოწვევას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის არასაკმარისი რაოდენობა, მოვლა-შენახვის გეგმის არარსებობა, ინფრასტრუქტურის განვითარების შემდეგ საჭირო იქნება ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირებისთვის მოვლა-შენახვის გეგმის შემუშავებაც.
4. დაფინანსების წყარო:
ა) ადმინისტრაციის დაფინანსება ძირითადად ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან. დამატებით, დაფინანსება ასევე ხორციელდებოდა სხვადასხვა წყაროებიდან (მ.შ. დონორი ორგანიზაციებიდან);

დაფინანსების წყაროები	2020	2021	2022	2023	სულ
სახელმწიფო ბიუჯეტი	285,866	500,896	559,578	488 349,12	1,346,341
კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები	31,049	214,870	261,527	429 627	507,446
სხვა წყაროები (მ.შ. დონორები)	362,365	72,073	74,573	49 794,26	509,011
სულ	679,280	787,839	895,678		2,362,798

ბ) 2018-2019 წლებში გაიზარდა რეინჯერების ხელფასებიც. 2017 წელს თუ რეინჯერის ხელფასი შეადგენდა 450 ლარს, 2018 წელს გახდა 650 ლარი და 2023 წელს რეინჯერის ხელფასი 1090 ლარია. რეინჯერებისთვის ასევე განსაზღვრულია CNF სახელფასო დანამატი.

თავი V. დაცული ტერიტორიების შიდა ზონირება

მუხლი 42. დაცული ტერიტორიების კატეგორიების ზონების ჩამონათვალი

1. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების მიზანია მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განხორციელების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.
2. თბილისის ეროვნული პარკის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა გამოიყოს შემდეგი ფუნქციონალური ზონები: (რუკა იხ. დანართ №5-ში).
ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა შექმნილია იმ ხელუხლებელი ბუნებისა და ჰაბიტატის შესანარჩუნებლად, რომლებიც ძალიან ახლოს არიან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობასთან, ასევე არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა და ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების

ჩასატარებლად. ზონა მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებზეც ანთროპოლოგიური ზეგავლენა ძალიან უმნიშვნელოდ იყო. ეს ზონა წარმოადგენს ნაკლებად სახეცვლილ ეკოსისტემებს, გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა და მცენარეთა ძირითადი ჰაბიტატების გავრცელების არეალს;
ბ) ვიზიტორთა ზონა ეწყობა ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ეს ზონა მოიცავს ტერიტორიებს, რომლებმაც განიცადეს მეტნაკლები ცვლილებები ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ არ არის დაშვებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა (კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა) და სადაც წარმოდგენილია ეკოსისტემის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიმუშები. ვიზიტორთა ზონაში მდებარეობს დამთვალიერებლებისთვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილები, როგორიცაა: მაღალი სარეკრეაციო ღირებულებითა და ბუნებრივი მახასიათებლებით გამორჩეული ტერიტორიები. ამ ზონაში ასევე შედის ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ცხოველების ჰაბიტატებს და სამიგრაციო ბილიკებს;
გ) ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის, ასევე განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების მიზნით. ზონა მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად; ყოფილი საგურამოს ნაკრძალის ტერიტორიის ჩრდილოეთ ფერდობზე წარმოდგენილ ტრადიციული გამოყენების ზონის კვარტლებში წყლის რესურსების დაცვისა და კოლხური ფლორის ელემენტებით წარმოდგენილ ხელუხლებელ ტყეებში აიკრძალოს სოციალური მიზნით ხე-ტყის ჭრა, გარდა სანიტარიული ჭრისა.
დ) ისტორიულ-კულტურული ზონა ეწყობა ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტებისა და არქიტექტურული ძეგლების დაცვის, აღდგენის, რეკრეაციის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის, მოქმედი საეკლესიო და სამონასტრო კომპლექსების მიმდებარედ თვითმყოფადი ბუნების შესანარჩუნებლად და მომლოცველებისათვის მშვიდი გარემო პირობების შესაქმნელად.

მუხლი 43. დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და ზონების ფართობი და საზღვრები
თბილისის ეროვნული პარკს გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობის და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გათვალისწინებით, თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები: (იხ. დანართი №6).
ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა – 2513.9 ჰა;
ბ) ვიზიტორთა ზონა – 4399.7 ჰა;
გ) ტრადიციული გამოყენების ზონა – 13397.2 ჰა;
დ) ისტორიულ-კულტურული ზონა – 720 ჰა.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 ივლისის დადგენილება №266 - ვებგვერდი, 23.07.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის დადგენილება №39 - ვებგვერდი, 03.02.2026წ.

მუხლი 44. დაცული ტერიტორიების თითოეულ კატეგორიასა და ზონაში დაშვებული საქმიანობა
1. თბილისის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგისა;
ბ) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისა და ამ მიზნისთვის მარტივი ინფრასტრუქტურის მოწყობისა (ეკოსაგანმანათლებლო ბილიკების მოწყობა, შეზღუდული რაოდენობის საინფორმაციო შემეცნებითი და გამაფრთხილებელი დაფების განთავსება ბილიკებთან);
გ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

დ) სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით ვიზიტორთა შეზღუდული გადაადგილებისა;
ე) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურის და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა, ადმინისტრაციის თანამშრომლების ავტო-მოტო ტრანსპორტით გადაადგილება).
2. თბილისის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;
ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაციის, მოვლისა და აღდგენისა;
გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური სისტემის დაცვისა და მონიტორინგისა, ტყის ეკოსისტემების დაცვისა და აღდგენისა;
დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევის, მონიტორინგისა და ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;
ე) საგანმანათლებლო საქმიანობისა;
ვ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით შეზღუდული რაოდენობით საჰერბარიუმო მასალის შეგროვებისა;
ზ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებისა;
თ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობის, აღდგენითი სამუშაოების დროს და სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;
ი) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;
კ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;
ლ) ძუძუმწოვრებისა და ფრინველების დაცვისა და მონიტორინგის მიზნით ბიოტექნიკური ღონისძიებების განხორციელებისა;
მ) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული დაშვებისა;
ნ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა, მათ შორის:
ნ.ა) კოტეჯის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 4 მ-ისა);
ნ.ბ) საკონფერენციოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ნ.გ) კაფეტერიის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა);
ნ.დ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა,სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა,სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ნ.ე) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე– არანაკლებ 3 მ-ისა);
ნ.ვ) საჯინიბოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა);
ნ.ზ) სველი წერტილების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა);
ნ.თ) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ნ.ი) „ნ.ა“ – „ნ.თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს;
ო) ფეხით, ველოსიპედითა და ცხენით გადაადგილებისა, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გზებზე ავტოტრანსპორტით გადაადგილებისა (შეთანხმებას არ საჭიროებს სოფლებსა და ქალაქებს შორის დამაკავშირებელ გზებზე გადაადგილება);

პ) ახალი ბილიკების მოწყობისა, არსებული გზებისა და ბილიკების მოვლისა;
ჟ) ხანძრებისგან დაცვის მიზნით ტყის ჩახერგილობისგან გაწმენდისა, გზებისა და ბილიკების გვერდითი საზღვრების გასწვრივ 50-მეტრიან ზოლში გამხმარი, ზეხმელი და ძირნაყარი ხეების მოჭრისა და გატანისა;
რ) ხანძრებისგან დაცვის მიზნით გამოტანილი ხე-ტყით თბილისის ეროვნული პარკის საზღვართან არსებულ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური ჭრის წესებით განსაზღვრული მოთხოვნების ფარგლებში დაკმაყოფილებისა;
ს) საქონლის სატრანზიტო გადარეკვისა და ვიზიტორთა და საპატრულო ცხენების ძოვებისა;
ტ) სახანძრო უსაფრთხოების გათვალისწინებით სპეციალურად გამოყოფილ ცეცხლის დასანთებ ადგილებზე კოცონის დანთებისა;
უ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის), არქეოლოგიური სამუშაოების, არქეოლოგიური დაზვერვის, არქეოლოგიური გათხრების წარმოებისათვის საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა;
ფ) ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების მიზნით, საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წყალმომარაგების სისტემის მშენებლობისათვის განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა;
ქ) საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე უკვე არსებული ობიექტების ფუნქციონირებისათვის/დემონტაჟისათვის, ასევე ამავე კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა.
3. თბილისის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;
ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვის, მოვლის და აღდგენისა;
გ) ტყის ეკოსისტემების დაცვის, მოვლის და აღდგენისა;
დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;
ე) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისა;
ვ) ეკოსაგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით შეზღუდული რაოდენობის საჰერბარიუმო მასალის შეგროვებისა;
ზ) დაცვის და ეკოტურიზმისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა, მათ შორის:
ზ.ა) ტურისტული თავშესაფრის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 4 მ-ისა);
ზ.ბ) საკონფერენციოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ზ.გ) კაფეტერიის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა);
ზ.დ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ზ.ე) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ზ.ვ) საჯინიბოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა);
ზ.ზ) სველი წერტილების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა);

ზ.თ) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ზ.ი) „ზ.ა“ – „ზ.თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს;
თ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მუდმივი და დროებითი სანერგეების მოწყობისა და ცხოველთა სამყაროს აღდგენის მიზნით, ვოლიერების მოწყობისა;
ი) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ტრადიციული გამოყენების ზონის ტერიტორიაზე ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა;
კ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;
ლ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;
მ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;
ნ) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილებისა;
ო) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა;
პ) გზების მოვლისა და ბილიკების მოვლისა და მოწყობისა;
ჟ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მიერ პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, ველური ხილის სახეობის მერქნიანი მცენარეების მყნობისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 89-ე მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულების ჭრების შედეგად მიღებული საშეშე მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არა უმეტეს 5 მ^3-ისა, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებებში – 10 მ^3 საშეშე მერქნისა), ძოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობში), თიბვისა, საფუტკრეების მოწყობისა, სოკოსა და ხილ-კენკრის შეგროვებისა, საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა; თბილისის ეროვნული პარკის საგურამოს უბნის № 9 კვარტლიდან 25 კვარტლის ჩათვლით აიკრძალოს მერქნული რესურსებით სარგებლობა(ყოფილი საგურამოს ნაკრძალი), გარდა სანიტარიული ჭრისა, სანიტარიული ჭრა შესაძლოა განხორციელდეს შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე.
რ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.
4. თბილისის ეროვნული პარკის ისტორიულ-კულტურულ ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;
ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაციის, მოვლისა და აღდგენისა;
გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური სისტემის დაცვისა და მონიტორინგისა, ტყის ეკოსისტემების დაცვისა და აღდგენისა;
დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევის, მონიტორინგისა და ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;
ე) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით, შეზღუდული რაოდენობის საჰერბარიუმო მასალის შეგროვებისა;
ვ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებისა;

ზ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;
თ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;
ი) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;
კ) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული დაშვებისა;
ლ) დაცვის და ეკოტურიზმისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოწყობისა;
მ) ფეხით და ცხენით გადაადგილებისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, გზებზე მანქანით მოძრაობისა;
ნ) ბილიკების მოწყობისა, არსებული გზებისა და ბილიკების მოვლისა;
ო) საქონლის სატრანზიტო გადარეკვისა და ვიზიტორთა და საპატრულო ცხენების ძოვებისა;
პ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაცვის, აღდგენის, რესტავრაცია და რეკონსტრუქციისა;
ჟ) საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოყოფილ მიჩენილ უბნებზე რელიგიური და სარიტუალო საქმიანობისა და ღონისძიებების ხელშეწყობისა;
რ) მატერიალური და არამატერიალური ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვისა და მათი მნიშვნელობის პოპულარიზაციისა;
ს) ხანძრებისგან დაცვის მიზნით ტყის ჩახერგილობისგან გაწმენდისა და გზებისა და ბილიკების გვერდითი საზღვრების გასწვრივ 50-მეტრიან ზოლში გამხმარი ზეხმელი ხეების მოჭრისა და გატანისა;
ტ) ხანძრებისგან დაცვის მიზნით, გამოტანილი ხე-ტყით თბილისის ეროვნული პარკის საზღვართან არსებულ დასახლებულ ადგილებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური ჭრის წესებით განსაზღვრული მოთხოვნების ფარგლებში დაკმაყოფილებისა;
უ) ზეხმელი ხეებისა და ისეთი ხეების მოჭრისა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ვიზიტორებსა და ტურისტულ ინფრასტრუქტურას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარშემო 50 მეტრის სიგანეზე (რადიუსით) დაშვებულია მხოლოდ ტყის ჩახერგილობისგან გაწმენდა და ზეხმელი ხეების მოჭრა, აგრეთვე დაშვებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაცვის, აღდგენის, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა.
5. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ადმინისტრაციათან შეთანხმებით, დაშვებულია დრონითა და ფოტოხაფანგით გადაღება.

მუხლი 45. გარდაბნის აღკვეთილში დაშვებული საქმიანობა

1. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;
ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვა, მოვლა და აღდგენისა;
გ) ტყის ეკოსისტემების დაცვა, მოვლა და აღდგენისა;
დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;
ე) საგანმანათლებლო საქმიანობისა;
ვ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით შეზღუდული რაოდენობის საჰერბარიუმო მასალის შეგროვებისა;
ზ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნა და მოწყობისა, მათ შორის:
ზ.ა) კოტეჯის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 4 მ-ისა);

ზ.ბ) საკონფერენციოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ზ.გ) კაფეტერიის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა);
ზ.დ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ზ.ე) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ზ.ვ) საჯინიბოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა);
ზ.ზ) სველი წერტილების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა);
ზ.თ) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);
ზ.ი) „ზ.ა“ – „ზ.თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს;
თ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუდმივი და დროებითი სანერგეების მოწყობა და ცხოველთა სამყაროს აღდგენის მიზნით ვოლიერების მოწყობისა;
ი) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა;
კ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;
ლ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;
მ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;
ნ) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილებისა;
ო) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილებისა;
პ) გზების და ბილიკების მოვლა და მოწყობისა;
ჟ) ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, დრონით და ფოტოხაფანგებით გადაღებისა;
რ) გარდაბნის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „დებულება ტყითსარგებლობის წესის“ 89-ე მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულების ჭრის შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არაუმეტეს 5 მ^3 საშეშე მერქანი), მოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვისა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია; ცხოველთა სამყაროსათვის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით, ხვნა-თესვისა და საკვებური მოედნების მოწყობა, თიბვა, საფუტკრეების მოწყობა, სოკოს, ხილ-კენკრის შეგროვების საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.
2. გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე აკრძალულია ნადირობა, გარდა მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების მომენტისთვის ტერიტორიაზე არსებული სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში ნადირობისა. არსებულ სამონადირეო მეურნეობაში დაშვებულია მდგრადი ნადირობა, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმებით, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. სალიცენზიო ვადის

ამოწურვის ან გაუქმების შემდეგ გარდაბნის აღკვეთილის მთელ ტერიტორიაზე იკრძალება სამონადირეო საქმიანობა. დასაშვებია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარეულ ცხოველთა რეგულირება მხოლოდ გარდაბნის აღკვეთილის კონსერვაციული მიზნებიდან გამომდინარე.
3. აღკვეთილის ტერიტორიაზე „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 2^1 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მიწისქვეშა წყლებით სარგებლობა.
4. გარდაბნის ტერიტორიაზე, ადმინისტრაციათან შეთანხმებით, დაშვებულია დრონითა და ფოტოხაფანგით გადაღება.

მუხლი 46. ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე დაშვებული საქმიანობა
ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:
ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;
ბ) მონიტორინგის სამუშაოების განხორციელებისა;
გ) ეკოტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა;
დ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;
ე) საკადასტრო სამუშაოების საქმიანობისა;
ვ) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილებისა;
ზ) დაცვისა და მოვლის ღონისძიებებისა;
თ) ტურისტული ბილიკების მოწყობისა და არსებული ბილიკების მოვლისა;
ი) დაცვისა და ეკოტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და კეთილმოწყობისა;
კ) ბილიკების მოწყობის, მოვლის, ვიზიტორთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით, ბილიკების გასწვრივ, 20-მეტრიან ზოლში ხეების ჭრისა და ბილიკების ჩახერგილობისაგან გაწმენდისა;
ლ) ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, დრონით და ფოტოხაფანგებით გადაღებისა;
მ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.

თავი VI. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

მუხლი 47. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე
1. სააგენტო (სააგენტოს ცენტრალური აპარატი და ადმინისტრაცია) პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე, მათი განხორციელების მონიტორინგსა და მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.
2. მენეჯმენტის გეგმა ხორციელდება სამწლიანი საოპერაციო და დეტალური წლიური სამუშაო გეგმის საშუალებით. საოპერაციო გეგმა მოიცავს განსახორციელებელ ქმედებებს საჭირო ბიუჯეტის ჩათვლით.
3. სააგენტო ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას და თანამშრომლობას გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში, საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 48. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები
მენეჯმენტის გეგმა მოიცავს მართვის შვიდ პროგრამას, ეს პროგრამებია:
ა) ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მონიტორინგი;
ბ) პატრულირება და კანონაღსრულება;
გ) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;

დ) ეკოტურიზმი;
ე) გარემოსდაცვითი განათლება;
ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;
ზ) მენეჯმენტი და ადმინისტრაციის განვითარება.
მენეჯმენტის გეგმის აღნიშნული პროგრამების მიზნები და ქმედებები ესადაგება ძირითად პირდაპირ და არაპირდაპირ საფრთხეებს, გამოწვევებსა და მენეჯმენტის შეზღუდვებს, რომლებიც აღწერილია სიტუაციურ ანალიზში.

მუხლი 49. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და მონიტორინგის პროგრამა

მიზანი 1: ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, არსებული მონაცემთა ბაზის დახვეწა და შედეგების მენეჯმენტში პროცესებში ინტეგრირება
ინდიკატორი 1: 2032 წლისთვის ადმინისტრაციას აქვს და იყენებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემას და გაუმჯობესებულ მონაცემთა ბაზას, რაც ხელს უწყობს მენეჯმენტის ეფექტუროობის გაზრდას.
საბაზისო ინფორმაცია: ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის არსებული პრაქტიკა, რომელსაც არ აქვს სისტემური ხასიათი და შესაბამისი კვლევების ანგარიშები.

N	აქტივობა	ინდიკატორი	საბაზისო ინფორმაცია	წინაპირობა
1.1	საკვანძო ჰაბიტატების გამოვლენა, სავალე შესწავლა და მონიტორინგი (ზურმუხტის ქსელი)	გამოვლენილი საკვანძო ჰაბიტატები და მონიტორინგის შედეგები	არსებული კვლევები	დონორი, კვლევითი ორგანიზაცია
1.2	ტყის მდგომარეობის მონიტორინგი თბილისის ეროვნული პარკის საკვანძო ადგილებში (ნახანძრალი, ტყის ზედა სარტყლის და ჭრაგავლილი ადგილების მონიტორინგი)	მონიტორინგის ანგარიშები	ტყის მართვის გეგმა, არსებული ანგარიშები	სააგენტოს და ადმინისტრაციის სპეციალისტები
1.3	ინვაზიური სახეობების იდენტიფიცირება, პრიორიტეტიზაცია და მონიტორინგი	დარუკებული ლოკაციები და ანგარიშები	ტყის მართვის გეგმა	დონორი, კვლევითი ორგანიზაცია
1.4	საკვანძო ძუძუმწოვარ ცხოველთა სახეობების (მურა დათვი, შველი, ფოცხვერი, წავი, კეთილშობილი ირემი გარდაბნის აღკვეთილში და სხვ.) მონიტორინგი	კვლევისა და მონიტორინგის ანგარიშები	გასული წლების კვლევები	დონორი, კვლევითი ორგანიზაცია, ადმინისტრაცია
1.5	„წითელი ნუსხის“ მერქნიანი მცენარეების გავრცელების დაზუსტება და მდგომარეობის მონიტორინგი	მონიტორინგის ანგარიშები, დარუკებული არეალები	ადმინისტრაციის ანგარიშები, ტყის მართვის გეგმა	ადმინისტრაცია

1.6	ადამიანისა და მტაცებელი ცხოველების კონფლიქტის მიზეზების კვლევა და კონფლიქტის მონიტორინგი, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება მართვის გაუმჯობესებისათვის	კვლევისა და მონიტორინგის ანგარიშები	ადმინისტრაციის ანგარიშები და მტაცებლების თავდასხმის სტატისტიკა	დონორი, კვლევითი ორგანიზაცია, ადმინისტრაცია
1.7	მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვება და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების ანალიზში მათი გათვალისწინება	მეტეოროლოგიური მონაცემების ანგარიშები	ადმინისტრაციის ანგარიშები და ,,ბუნების მატიანე''	დონორი, ადმინისტრაცია
1.8	სტიქიური მოვლენების (ქარქცევები, ქარიშხალი, ზვავი, წყალდიდობა და სხვ.) აღრიცხვა	შესაბამისი ანგარიშები	ადმინისტრაციის ანგარიშები და ,,ბუნების მატიანე''	ადმინისტრაცია
1.9	ფოტოხაფანგების მასალების მონაცემთა ბაზის შექმნა, ანალიზი	მოქმედი და გამართული მონაცემთა ბაზა	არსებული მონაცემები	სააგენტოს და ადმინისტრაციის სპეციალისტები
1.10	თბილისის ეროვნულ პარკში ირმის აღდგენის შესაძლებლობების კვლევა	ჩატარებული კვლევა ირმის აღდგენის პროექტის შესაძლებლობის შესახებ	წარსულში კეთილშობილი ირმის გავრცელების არეალების მონაცემები	დონორების და ექსპერტების ჩართვა
1.11	თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობების გარშემო წყლის ჩამონადენის მონიტორინგის გეგმის შემუშავება და საჭიროების მიხედვით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	შემუშავებულია წყლის რესურსების მონიტორინგის გეგმა და წყლის რესურსების შენარჩუნებისთვის განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები	სეზონურად ინტენსიურად მიმდინარეობს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ეროვნული პარკის ტერიტორიზე არსებული წლის რესურსების გამოყენება	პარკის ადმინისტრაცია, დონორები, ექსპერტები
1.12	გარდაბნის აღკვეთილის ჭალის ტყეების ინვენტარიზაცია და ტყის მართვის გეგმის შემუშავება	მომზადებული და დამტკიცებულია გარდაბნის აღკვეთილის ტყის მართვის გეგმა	ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია დაახლოებით 30 წლის წინ და არ არსებობს განახლებული ინფომაცია ჭალის ტყის ეკოსისტემის განახლების შესახებ	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი

1.13	კლიმატის ცვლილებების მიმართ მოწყვლადობის შეფასება და საადაპტაციო გეგმის მომზადება თბილისის ეროვნული პარკისა და გარდაბნის აღკვეთილისათვის	მომზადებულია თბილისის ეროვნული პარკისა და გარდაბნის აღკვეთილის მოწყვლადობის შეფასების ანგარიში ადაპტაციის გეგმა	არსებული სტატისტიკური მონაცემები	დონორები, სააგენტო
1.14	2029 -2030 წლებში თბილისის ეროვნული პარკის ტყეების ინვენტარიზაცია და ტყის მართვის გეგმის შემუშავება/განახლება	შემუშავებული და დამტკიცებული ტყის მართვის გეგმა	2020 წელს დამტკიცებული თბილისის ეროვნული პარკის ტყის მართვის გეგმა 10-წლიანი სარევიზიო პერიოდისთვის	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი

მიზანი 2: ადმინისტრაციის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში
ინდიკატორი 2: ბიომრავალფეროვნების კვლევა-მონიტორინგის სფეროში 2032 წლისთვის თანამშრომლების მინიმუმ 60%-ის კვალიფიკაცია და უნარები გაზრდილია.
საბაზისო ინფორმაცია: ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში ჩართულ რეინჯერებს არ აქვთ სათანადო ტრენინგი გავლილი.

N	აქტივობა	ინდიკატორი	საბაზისო ინფორმაცია	წინაპირობა
2.1	საკვანძო ძუძუმწოვარ ცხოველთა სახეობების (მურა დათვი, შველი, ფოცხვერი, წავი, კეთილშობილი ირემი) აღრიცხვის, მონაცემების შეგროვების, ფოტოხაფანგების გამოყენებას და პირველადი მასალების დამუშავების ტრენინგი	საკვანძო ძუძუმწოვარ ცხოველთა სახეობებზე ჩატარებული 5 ტრენინგი, გადამზადებულია მინიმუმ 10 თანამშრომელი	თანამშრომლების დიდ ნაწილს არ აქვს ბიომონიტორინგის ჩატარებისთვის სათანადო უნარები	საჭიროა დამატებით ექსპერტული და ფინანსური რესურსი
2.2	ზურმუხტის ქსელით დაცული სახეობებისა და ბუნებივი ჰაბიტატების მონიტორინგის შესახებ ტრენინგი	ჩატარებულია მინიმუმ 5 ტრენინგი, გადამზადებულია მინიმუმ 10 თანამშრომელი	თანამშრომლების დიდ ნაწილს არ აქვს ზურმუხტის ქსელით დაცული სახეობებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების მონიტორინგის შესახებ ჩატარებისთვის სათანადო უნარები	საჭიროა დამატებით ექსპერტული და ფინანსური რესურსი
2.3	საკვანძო ფრინველების გამოვლენა, მათი აღრიცხვისა და მონიტორინგის ტრენინგი	ჩატარებულია მინიმუმ 3 ტრენინგი, გადამზადებულია მინიმუმ 5 თანამშრომელი	თანამშრომლების დიდ ნაწილს ტრენინგი არ აქვს გავლილი	საჭიროა დამატებით ექსპერტული და ფინანსური რესურსი
2.4	ტყის ხანძრებთან ბრძოლაზე ტრენინგი	ჩატარებულია მინიმუმ 9 ტრენინგი, გადამზადებულია	თანამშრომლების დიდ ნაწილს ტრენინგი არ აქვს გავლილი	საჭიროა დამატებით ექსპერტული და

		მინიმუმ 25 თანამშრომელი		ფინანსური რესურსი

მუხლი 50. პატრულირებისა და კანონაღსრულების პროგრამა

მიზანი 1: ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად უკანონო ქმედებებით გამოწვეული საფრთხეების შემცირება.
ინდიკატორი 1: ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს ახალ ტექნოლოგიებს დაცვა-პატრულირების ღონისძიებებში, შეიმჩნევა პროგრესი სამართალდარღვევების პრევენციის, გამოვლენისა და შემცირების მიმართულებით, მენეჯმენტის გეგმის განხორციელების ბოლო წელს ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებზე უკანონო ქმედებები, როგორც გამოვლენილი, ასევე გამოუვლინებელი ფაქტები (ხე-ტყის უკანონო ჭრა, ნადირობა და ა.შ.) შემცირებულია 70%-მდე 2022 წელთან შედარებით.
საბაზისო ინფორმაცია: მცირეა სათანადო აღჭურვილობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით. ამ დრომდე ადმინისტრაციაში არ არის დანერგილი SMART მოწყობილობის დახმარებით პატრულირება

N	აქტივობა	ინდიკატორი	საბაზისო ინფორმაცია	წინაპირობა
1.1	SMART პატრულირების სისტემის დანერგვა და განხორციელება	შეძენილია 40 ერთეული SMART-მოწყობილობა, დანერგილი SMART-ის სისტემა, ანგარიშები	ამჟამად SMART-პატრულირების სისტემა დანერგილი არ არის	საჭიროა SMART-მოწყობილობების შეძენა, დამატებით ექსპერტული და ფინანსური რესურსი
1.2	ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უნარების გაძლიერება SMART-ის პატრულირების სისტემის და ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით	ჩატარებულია მინიმუმ 5 ტრენინგი, გადამზადებულია მინიმუმ 35 თანამშრომელი	ამჟამად არცერთი თანამშრომელი არ არის გადამზადებული	საჭიროა დამატებით ექსპერტული და ფინანსური რესურსი
1.3	პატრულირების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს ანტიბრაკონიერულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას	პატრულირების სტრატეგიის დოკუმენტი/საქმიანობების ანგარიშები	გასული წლის ანგარიშები	საჭიროა დამატებით ექსპერტული და ფინანსური რესურსი
1.4	არსებული პატრულირების მარშრუტების გადახედვა, განახლება და ახალი მარშრუტების გამოვლენა არსებული რისკების გათვალისწინებით საჭიროების მიხედვით	განახლებული საპატრულო მარშრუტების რუკა	არსებული საპატრულო მარშრუტები	ადმინისტრაცია/ სააგენტო

მიზანი 2: ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების დაცვის განყოფილება აღჭურვილია კვალიფიციური ადამიანური რესურსებით, ეფექტური ფუნქციონირებისათვის არსებობს ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა
ინდიკატორი 2: 2032 წლისთვის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მინიმუმ 70 % -ს გაძლიერებული უნარები. განახლებული საპატრულო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის გაზრდილი რაოდენობა.
საბაზისო ინფორმაცია: არსებობს შესაბამისი თემატიკის ტრენინგ მოდული, თუმცა სწავლებას არ აქვს

უწყვეტი ხასიათი				
2.1	ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების თანამშრომლების გადამზადება (სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, კანონაღსრულება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება, მტკიცებულებების შეგროვება, პირველადი დახმარება და სამაშველო ოპერაციები, რუკების კითხვა, GPS ნავიგატორი, ბრაკონიერობასთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, გუნდური მუშაობა, კონფლიქტების მართვა, ეფექტური კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ეფექტური გამოყენება, მოვლა-შენახვა)	ჩატარებულია მინიმუმ 10 ტრენინგი, გადამზადებულია მინიმუმ 30 თანამშრომელი	გასულ წლებში ჩატარებული ტრენინგების შესახებ ანგარიშები	საჭიროა დამატებით ექსპერტული და ფინანსური რესურსი
2.2	რეინჯერთა აღჭურვილობის საჭიროებისამებრ განახლება მათ შორის სამსახურებრივ საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით, რაცია, GPS ნავიგატორი, სამკერდე კამერა, ფოტოხაფანგებით, ფოტოაპარატი, და ა.შ.)	დაცვის განყოფილების აღჭურვილობა განახლებულია და შეძენილია მინიმუმ: - 10 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, - 20 ერთეული რაცია, - 10 ერთეული GPS ნავიგატორი, - 20 ერთეული სამკერდე კამერა, - 10 ერთეული ბინოკლი - 50 ერთეული ფოტოხაფანგი - 37 ერთეული უნიფორმა,	არსებული აღჭურვილობა მცირეა და საჭიროებს დამატებას და განახლებას	საჭიროა დამატებით ფინანსური რესურსი

		პერიოდულად განახლებით - 3 ერთეული ფოტოაპარატი		
2.3	ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შეძენა	შეძენილია: – კვადროციკლი 2 ერთეული, ბენზოხერხი 5 ერთეული, 15 ერთეული სახანძრო ინვენტარი (თოხი, ბარი, საფერთქელი, ცეცხლმაქრი ზურგჩანთა და სხვა)	არსებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა საჭიროებს განახლებას	სახელმწიფო ბიუჯეტი, დამატებით ფინანსური რესურსი
2.4	რეინჯერთა საგუშაგოს მოწყობა	დაცვის განყოფილებისთვის მოწყობილია მინიმუმ 3 საგუშაგო	თბილისის ეროვნულ პარკში არის 5 უბანი, მოწყობილი 2 საგუშაგო	სახელმწიფო ბიუჯეტი, დამატებით ფინანსური რესურსი

მუხლი 51. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა

მიზანი 1: თბილისის ეროვნული პარკის და გარდაბნის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონაში ანთროპოგენური – საფრთხის შემცველი გავლენის შემცირება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მიერ. **ინდიკატორი 1: 2023 წელთან შედარებით არ არის გაზრდილი ან შემცირებულია რესურსებით სარგებლობა, მათ შორის საშეშე მერქნის, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.** **საბაზისო ინფორმაცია: თბილისის ეროვნულ პარკში ჩატარებულია ტყის მართვის გეგმა.**			
N	**აქტივობა**	**ინდიკატორი**	**საბაზისო ინფორმაცია**	**წინაპირობა**
1.1	თბილისის ეროვნული პარკისა და გარდაბნის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონაში ანთროპოგენური ზეგავლენის შესწავლა, კლასიფიცირება და დარუკება (მაღალი და დაბალი რისკადგილების იდენტიფიცირება)	ჩატარებული კვლევის ანგარიში და არსებული რუკა	ადმინისტრაციის ანგარიშები	დამატებით ფინანსური და ექსპერტული რესურსი
1.2	თბილისის ეროვნული პარკისა და გარდაბნის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონაში ანთროპოგენური ზეგავლენის შესწავლის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების და რეკომენდაციების გათვალისწინება ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან მიმართებაში	შემუშავებული და გატარებული ღონისძიებების ანგარიშები	ადმინისტრაციის ანგარიშები	დამატებით ფინანსური და ექსპერტული რესურსი

1.3	2020 წელს მიღებული ,,ტყის კოდექსით'' გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად საქმიანი ეზოს მოწყობა	მოწყობილია მინიმუმ ერთი საქმიანი ეზო	ამჟამად საქმიანი ეზო არ არსებობს, ადგილობრივი მოსახლეობა თავად უზრუნველყოფს საშეშე ხე-ტყის დამზადებას	დამატებით ფინანსური და ექსპერტული რესურსი
1.4	თბილისის ეროვნული პარკის ეკოსისტემური სერვისების ანალიზი	კვლევის შედეგები	არ არის შეფასებული ეკოსისტემური სერვისები	დამატებით ფინანსური და ექსპერტული რესურსი

მუხლი 52. ეკოტურიზმის პროგრამა

მიზანი 1: 2032 წლისთვის თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე განვითარებულია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, სერვისები და პროდუქტები ეკოლოგიური მთლიანობის ხელყოფის გარეშე
ინდიკატორი: 2032 წლისთვის თბილისის ეროვნული პარკის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტების, სერვისებისა და პროდუქტების რაოდენობა გაზრდილია სულ მცირე 70%-ით 2023 წელთან შედარებით
საბაზისო ინფორმაცია: ამჟამად თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისები მწირია, საჭიროებს განვითრებას

№	აქტივობა	ინდიკატორი	საბაზისო ინფორმაცია	წინაპირობა
1.1	თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ეკოტურიზმის განვითარებისთვის გენერალური გეგმის შემუშავება	შემუშავებულია ეკოტურიზმის განვითარების გენერალური გეგმა	ამჟამად არ არსებობს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხედვა	ფინანსური მხარდაჭერა
1.2	ადგილობრივი ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების ინტეგრაციის ხელშეწყობა ტურისტულ პროდუქტში	სულ მცირე 1 შესაბამისი ტურისტული პროდუქტის არსებობა	ამჟამად არ არსებობს	ფინანსური მხარდაჭერა, თანამშრომლობა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან
1.3	საინფორმაციო და საინტერპრეტაციო დაფების, მანიშნებლების მოწყობა	მოწყობილია მინიმუმ 50 საინფორმაციო და საინტერპრეტაციო დაფება და მანიშნებელი	ამჟამად არსებული დაფები მცირეა და საჭიროებს განხლებას	დამატებით საჭიროა ფინასური და ადამინური რესურსი
1.4	კერძო სექტორთან ერთად ინფრასტრუქტურის განვითარება	კერძო სექტორთან ერთად განვითარებულია მინიმუმ 2 ინფრასტრუქტურული ობიექტი	ამჟამად არ არის გაცემული იჯარით ინფრასტრუქტურა	კერძო სექტორი
1.5	თბილისის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის აშენება/მოწყობა	აშენებული/მოწყობილი ვიზიტორთა ცენტრი ზედაზენზე	ამჟმად დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები	დამატებით საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა

1.6	ურთიერთდაკავშირებული სალაშქრო ბილიკების ქსელის განვითარება	მოწყობილი სალაშქრო ბილიკების ქსელი (მინიმუმ 150 კმ)	მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები	დამატებით საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა
1.7	ეკოტურისტული თავშესაფრების აშენება/მოწყობა	აშენებული/მოწყობილია მინიმუმ 3 ეკოტურისტული თავშესაფარი	ამჟამად არ არსებობს	დამატებით საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა
1.8	საპიკნიკე ადგილების მოწყობა	მოწყობილია მინიმუმ 15 საპიკნიკე ადგილი	ამჟამად არსებობს მხოლოდ 3 საპიკნიკე ადგილი, რაც მოთხოვნიდან გამომდინარე მცირეა	დამატებით საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა
1.9	შშმ პირებზე ადაპტირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მათი საჭიროებების გათვალისწინებით	მოწყობილი მინიმუმ 1 შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული ტურისტული ინფრასტრუქტურა	ამჯამად არ არსებობს	დამატებით საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა
1.10	ვიზიტორთა აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება და უკუკავშირის კვლევის განხორციელების მეთოდოლოგიის დანერგვა	შემუშავებულია მეთოდოლოგია	ამჟამად არ არსებობს უკუკავშირის კვლევის მეთოდოლოგია	დამატებით საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა
მიზანი 2: 2032 წლისთვის მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პროცესში, ადმინისტრაცია სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ხელს უწყობს ეკოტურიზმის პოტენციალის გაძლიერებას და ეკოტურისტული სერვისებიდან შემოსავლის მიღებას **ინდიკატორი 2:** 2032 წლისთვის, ადმინისტრაციისა და სხვა დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობით დაგეგმილი პროექტების მინიმუმ 80 % განხორციელებულია **საბაზისო ინფორმაცია:** ამჟამად პროექტები მცირეა, საჭიროებს გამრავლფეროვნებას და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშორმლობის გაძლიერებას				
2.1	ადგილობრივი სერვისის მიმწოდებლების იდენტიფიცირება და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება	მონაცემთა ბაზა, განხორციელებული ღონისძიებები	ამჟამდ არ არსებობს	დამატებით საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა
2.2	თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურული მემკვიდრეობისათვის ღირებული მახასიათებლების მქონე არქიტექტურული და არქეოლოგიური ობიექტების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა	მონაცემთა ბაზა	ამჟმად არ არის სრულყოფილი	საჭიროა თანამშრომლობა შესაბამის უწყებებთან

მუხლი 53. გარემოსდაცვითი განათლების პროგრამა

მიზანი 1: დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ფლობს საკმარის რესურსს გარემოსდაცვითი განათლების და ცნობიერების ამაღლების საქმიანობების განხორციელებისათვის.
